საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 9 იანვარი. 2023 წ. №3 (9535) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეული სიფცეა, ტყეებით და ჯიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

დღის მთავარი თემა

ფართოდ გაახილეთ თვალები, აფხაზო ძმებო და დებო!



ორი ცნობილი ოჩამჩირელი ქართველი მეგობარი – ლეო ბოკერია და ლორენცო შარანგია

იქნებ დადგა ჟამი ქვათა შეგროვებისა?!.

იხ. 6-7 გვ.

გავაძლიეროთ ლოცვა და გარჯა საქართველოს გადასარჩენად!

3

ჩვენი სულის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა

სიღდისი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

მედიის მარეგულირებელი ახალი კანონი უკრაინაში: რა საფრთხეებს ხედავენ კრიტიკოსები?

5

ჯო ბაიდენი ② მართლმადიდებელ ქრისტიანებს შობას ულოცავს

აურზაური ლევილის მამულის გამო

4

<u>გიორგი კალანდია:</u>

დღეს საქართველოში ერთი განსაკუთრებული კასტა ჩამოყალიბდა, რომელიც გელათში, ზუგდიდსა თუ ლევილში მხოლოდ დაწყებული საქმეების კეთებას, პრობლემის მოგვარებას ეგრძვის!!!

ქვეყანა ვირუსული ინფექციების გავრცელების პიკში შედის! ⑪

ვაჟა-ფშაველა იაპონურად: მანგად მოთხრობილი „სტუმარ-მასპინძელი“

შალვა პაპუაშვილი:

ოპოზიცია მთავარ პრობლემას ვერ აცნობიერებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** აცხადებს, რომ ევროკავშირის 12 რეკომენდაციიდან რამდენიმე პუნქტი უკვე შესრულებულია.

„იცით, რომ გენდერული თანასწორობის კუთხით, რამდენიმე ცვლილება მივიღეთ, მათ შორის კონცეფციაც დავამტკიცეთ და ა.შ. მათ შორის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით მრავალპარტიული თანხმობით იქნა მიღებული ცვლილებები. არის ორი საკითხი, რომელიც შეეხება სასამართლო რეფორმასა და დეოლიგარქიზაციას. ორივე საკითხი არის გაგზავნილი ვენეციის კომისიაში და რა თქმა უნდა, ჩვენ დამოკიდებული ვართ, თუ რამდენად სწრაფად გვექნება პასუხი. ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა გვაცნობეს, რომ ამ ორ საკითხთან დაკავშირებით, მარტში იქნება მათგან დასკვნა. რაც შეეხება სასამართლო რეფორმას და დეოლიგარქიზაციას, ჩვენი მხრივ დავასრულეთ ამაზე მუშაობა, რადგან პროექტები არის ინიცირებული.

კანონის მორგება ადამიანზე არის არაევროპული მიდგომა, შესაბამისად ყველა, ვინც ფიქრობს, რომ კანონი უნდა მოერგოს ადამიანს, ფიქრობს არალერევანტურად. რაც შეეხება სხვა საკითხებს, კიდევ ერთხელ არის ორი საკითხი, რომელზეც ჩვენ დამოკიდებული ვართ ვენეციის კომისიის პასუხზე.

რაც შეეხება სახალხო დამცველის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევას, აქ დამოკიდებული ვართ იმაზე, თუ რამდენად კონსტრუქციული იქნება ოპოზიცია. იცით, რომ იყო პროცესი როგორც სახალხო დამცველზე, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, გასაუბრებები. ჩვენ ვნახეთ, რომ თავიდანვე ულტიმატუმი იყო დაყენებული. სამწუხაროდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აღმოჩნდა ამ მხრივ ყველაზე დესტრუქციული როლის შემსრულებელი. როგორც სახალხო დამცველზე, ისე იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე. თქვეს, რომ ან იქნება სამი კანდიდატიდან ომბუდსმენის არჩევა და ხუთი კანდიდატი, რომელიც დაასახელეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, აი იმ ხუთი კანდიდატიდან უნდა აირჩნენ. ეს იყო პირდაპირ ულტიმატუმის წაყენება ოპოზიციისთვის, რომელიც სამწუხაროდ, დღემდე ვერ აცნობიერებს, რომ ისინი არიან არა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პარლამენტში, არამედ არიან ხალხის მანდატით აღჭურვილი პარლამენტის წევრები. არ აფასებენ საკუთარ ამომრჩეველს საბოლოო ჯამში, მაშინ, როდესაც ისინი ბრმად მიჰყვებიან რამდენიმე გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის ულტიმატუმს და ვნახოთ, ეს პირველი ეტაპი ვერ შედგა კონსენსუსი.

თებერვალში კიდევ ვცდით. ერთი მხრივ, მოვუწოდებ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ აცადონ პარლამენტს იმ დემოკრატიული პროცესით, რომელიც პარლამენტში იმართება ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს აცადონ ამ დემოკრატიული პროცესით იხელმძღვანელონ. მათი ჩართულობა რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ კომიტეტებში, როცა იქნება გასაუბრება და ა.შ და მეორე მხრივ, მოვუწოდებ პარლამენტის ყველა წევრს, რომ საკუთარი პასუხისმგებლობით იმოქმედონ“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

იდა ბახტურიძე:

ნოდარ მელაძე მთელი მედიასექტორის სირცხვილია!

ერთხელ ნოდარ მელაძემ შემომითვალა **„ვიცით შენი ძმა სად მუშაობსო“. ჰოდა, ხვალ ჩემს ძმაზე რომ ლეგენდა მოისმინოთ, არც ეგ გაიკვირვოთ. მისი მორალი ყველაფრის მქმნელია,** – ამის შესახებ ორგანიზაცია „ქალები საერთო მომავლისთვის (WECE) საქართველოს“ წარმომადგენელი იდა ბახტურიძე სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ბახტურიძე აღნიშნავს, ნოდარ მელაძე მთელი მედიასექტორის უდიდესი სირცხვილია.

„ნოდარ მელაძის ნიშნის მოგების პოსტი საერთოდ რა დონის ბოროტებაა, ვერც აღვწერ და ამ პოსტზე მისი კოლეგების დუმილი, საერთოდ თავზარდამცემია. ღმერთმა დაიფაროს და ფეხი რომ გადაგვიბრუნდეს, ეს კაცი ნეკროლოგს გამოაცხობს. ემიგრანტ დედაჩემს ჩემზე ადრე მოკლავს იქ და მერე სიკვდილი რომ დადასტურდეს, მოვა და მე მომკლავს. აი, ამის გამკეთებელიცაა, უკვე ვრწმუნდები. და მთელი მედია სექტორის უდიდესი სირცხვილია ეს კაცი, ყველას შეურაცხგყოფთ და თქვენ დუმხართ! ერთხელ ნოდარ მელაძემ შემომითვალა „ვიცით შენი ძმა სად მუშაობსო“. ჰოდა, ხვალ ჩემს ძმაზე რომ ლეგენდა მოისმინოთ, არც ეგ გაიკვირვოთ. მისი მორალი ყველაფრის მქმნელია“, – წერს იდა ბახტურიძე Facebook-ზე.

თავის მხრივ, ნოდარ მელაძე ბახტურიძეს და მის ორგანიზაციას სიცრუეში და „სიძულვილის გაღვივებაში“ ადანაშაულებს.

ნოდარ მელაძესა და იდა ბახტურიძეს შორის დაპირისპირება ტრანსგენდერი ქალის ლიზა ქისტაურის გარდაცვალების შესახებ ტვ „პირველის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მოყვა.

დავიმახსოვროთ ამ მთვრალი და მყრალი ყარალაშვილის გვარი!

საქართველოში შემოვალ ტანკებით, აფხაზეთის მხრიდან შემოვალ, გადაგივლით – აცხადებს Facebook-ზე, ვიდეომიმართვაში უკრაინაში მებრძოლი ნაცმოძრაობის მხარდამჭერი ნოდარ ყარალაშვილი.

„თუ გინდათ, მე ჩამოვალ სადაც გინდათ, ოღონდ საქართველოში არა. საქართველოში მე ასე არ შემოვალ, საქართველოში შემოვალ ტანკებით, ტანკებით შემოვალ აფხაზეთის მხრიდან. იმიტომ გითხარით, გადაგივლით, დრო მოვა, გადაგივლით. არც პური არ გექნებათ და ფქვილი არ გექნებათ, მაშინ დაიკიდეთ თქვენ ეგ ცოცხები და გაითხარეთ ტ*ში და იარეთ, ბიძინას რუსისტებო. თქვენი ღვინო ვის რა ჩემ ფეხებად უნდა, ბოლო ბოლო კახელებო რა“,** – ამბობს ყარალაშვილი.

ეს ქართველ ენ-ჯე-ოშნიკებს არ ანახოთ!!!

ჯო ბაიდენი მართლმადიდებელ ქრისტიანებს შობას ულოცავს

„მე და ჯილი მშვიდობიან და სასიხარულო შობას ვუსურვებთ მართლმადიდებელ ქრისტიანებს მთელ მსოფლიოში. ამ წმინდა დღესასწაულზე ჩვენ აღვნიშნავთ რწმენის ძალას, რომელსაც სამყაროს შეცვლა შეუძლია. ვუერთდებით ჩვენს მართლმადიდებელ ქრისტიან დებსა და ძმებს, ვლოცულობთ ღვთის ყველა შვილისთვის ამ ახალ წელს“, – წერს ბაიდენი.

80 წლის ბაიდენსაც „რუსეთუმედ“ შერაცხავენ და მის მეუღლესაც

ეს ქართველ ენ-ჯე-ოშნიკებს არ ანახოთ, 80 წლის ბაიდენსაც „რუსეთუმედ“ შერაცხავენ და მის მეუღლესაც. მერე “ხალხის ძალას“ არაფერი დაგვრალდეს – ჩვენ მადლიერების გრძნობით ვხვდებით ამ მოლოცვას,– ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

ამით ქართველიშვილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ტვიტს გამოეხმაურა, სადაც ის მართლმადიდებელ ქრისტიანებს შობას ულოცავს. შეგახსენებთ, ქართულმა მდიდარმა ენჯეოებმა მართლმადიდებლებს 7 იანვარი, ქრისტეს შობის დღესასწაული არ მიულოცეს, სამაგიეროდ 25 დეკემბერს მათ თავიანთ ოფიციალურ გვერდებზე ქრისტეს შობის მისალოცი არაერთი პოსტი გამოაქვეყნეს.

უსამშობლო და ურჯულო რადიკალები

„ტვ პირველი“, რომ გამორჩეულია ანტიეკლესიური პროპაგანდით, ეს არ ახალია. თუმცა დღეს, ქრისტესშობის დღესასწაულზე სულ მთლად აიღეს ხელი ყველაფერზე და პატრიარქს და ეკლესიას გავეშმუულად თავს დაესხნენ. შეკრიბეს ყველა უსამშობლო რადიკალი და მათი ეთერით ალანძღვინეს ქართული ეკლესია.

ახლა მინდა ვკითხო თითოეულ ადამიანს, ვინც ამ კანალიზაციაში მუშაობთ, არ გრცხვენიათ?“ – წერს ექსპერტი **ედიშერ გვენეტაძე** Facebook-ზე.

ნაცმოძრაობისთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არაა მშობლიური

„ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები ქრისტეს შობას 25 დეკემბერს აღნიშნავენ. **გამოდის, რომ მათთვის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია არაა მშობლიური.**

თუმცა, უსამშობლო ნაცაქტორებისგან ესეც არაა გასაკვირი. ამგვარი მარგინალები ცხოვრობენ ვიწრო „ბაბლში“ და თავიანთი ქმედებებით თვითგარიყულნი არიან ქართული საზოგადოებისგან“, – წერს **გია აბაშიძე** Facebook-ზე.

გავაძლიეროთ ლოცვა და გარჯა საქართველოს გადასარჩენად!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ჩვენი სულის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა

სინდისი

„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, მერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„ვჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან... და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში“ (კოლ.1.13)

დგება უამი გამოუთქმელი სიდიადისა!

იშვება ქრისტე, ირღვევა სიბნელის საკვრელნი, „ჩრდილნი უკუმსვლელობენ და ჭეშმარიტება შემოდის სინათლის დასამკვიდრებლად“.

როგორ შეხვდებით მას? გვექნება მონდომება და მზაობა იმისა, რომ ჩვენც ქრისტესთან ერთად თანავიშვათ, რათა თანაჯვარსვეცვათ, თანადავიფლათ, თანაავღდგეთ და მასთან ერთად ვიყოთ მარადიულად?

ეს ურთულესი კითხვაა და მასზე სწორი პასუხის გაცემა ჩვენი ცხოვრების აზრის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია.

ფაქტია, ჩვენი მუდმივი ადგილი ამქვეყნად არ არის. ჩვენ ამ ყოფისთვის არა ვართ გაჩენილნი; უხრწნელად შევიქმენით და ამ მდგომარეობასვე უნდა დავუბრუნდეთ. ეს აუცილებლად მოხდება ჩვენი ამ ქვეყნიდან გასვლით, ოღონდ ჩვენი თავისუფალი ნებისა და ღვთის ნების თანხვედრაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება შემდგომი ჩვენი ხვედრი.

ჩვენი ნება ხორციელდება ჩვენი სულით, გულით, გონებითა და სიტყვით. ამიტომაც მათზე ზრუნვა განსაკუთრებულად გვმართებს.

ჩვენი სულის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა სინდისი.

სინდისი ღვთის ხმაა. მას ვერ დაიმორჩილებ, შენი სურვილისამებრ ვერ განაწყობ, ბოლომდე ვერც აღმოფხვრი; პირიქით, თავის მყოფობას მაშინაც გვაგრძნობინებს, როდესაც ვცდილობთ, გავექცეთ, თუმცა ისეც ხდება, რომ მუდმივი უგულებელყოფით, მისი ხმა სუსტდება და აღარ გვესმის. არსებობს მდგომარეობაც, რასაც „დამწვარი სინდისი“ ჰქვია და ადამიანის უმძიმეს სულიერ ცხოვრებაზე მეტყველებს.

ქრისტიანული რწმენა და მცნებები ჩვენში სინდისის ხმის სიძლიერისა და მართებულობის ყველაზე უტყუარი განმსაზღვრელია და ჩვენი სულის სწორად განვითარების შესაძლებლობაა, რადგან სინდისი ჩვენს ნებას ღვთის ნებასთან აკავშირებს.

„ვერავინ ვერ დადებს სხვა საძირკველს, გარდა უკვე დადებულისა, რომელიც არის იესო ქრისტე. ხოლო თუ ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე – ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, შეშას, თივას, ჩალას, – თითოეულის საქმე გამომჟღავნდება... ცეცხლით გამჟღავნდება და ცეცხლითვე გამოიცდება, ვინ რას აკეთებს (1 კორ. 3, 11-13).

გული ცენტრია ჩვენი სიცოცხლისა, ჩვენი ცხოვრებისა; ღვთის შიში, გრძნობათა მთელი სამყარო და უფალთან ერთობის სურვილი მასში მყოფობს.

გონება კი გვეხმარება შევიცნოთ გარე სამყარო და დავძლიოთ ჩვენი დაცემული ბუნება.

ცოდვისგან ადამიანის გული, გონება და სული თავისუფლდება ლოცვით, მარხვით, მღვიძარებითა და განსაცდელებით; ამიტომაც არ უნდა შეგვეშინდეს პრობლემების. სიბრძნეც გვასწავლის: „კეთილდღეობა შეიძლება უბედურებაზე საშიში იყოს და უბედურება – კეთილდღეობაზე მეტად მაცხოვნებელი.“

თუ სწორად ვცხოვრობთ, ღმერთი აუცილებლად დაგვეხმარება, მისი შეწევნა კი შეიძლება მოვიდეს იქ და მაშინ, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდით.

* * *

ადამიანი განსაკუთრებული არსებაა, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად; საიდუმლოებით მოიცავს როგორც მაკრო, ისე მიკრო სამყაროს და შესაქმის გვირგვინად და მეფედ არის დადგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამმა და მისმა შთამომავლობამ, საღვთო ღირსებებთან ერთად, უკეთურ ძალთა თვისებებიც შეიძინა და ბოროტის გავლენის ქვეშ მოექცა, შემოქმედმა მაინც არ მიგვატოვა;

კაცთა განსწავლა ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა წინასწარმეტყველთა და მსაჯულთა მიერ, სიტყვითა და რჯულით, ასევე, ომებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით... ბოლოს კი იუდას შტოში, იესეს მოდგმაში, დავითის სახლში, დაიბადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, – საღვთო აღმშენებლობის მთელი ისტორიის თავის თავში მომცველი.

უფლის მოწყალებით მან მოიღო მადლი, – ეშვა შემოქმედი, რათა ადამიანის ბუნება განღმრთობილიყო და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი სასწაული აღსრულებულიყო.

მოციქული ბრძანებს: „ამიერიდან აღარა ხართ მონა, არამედ შვილი, ხოლო თუკი ძე ხარ, მაშინ ქრისტეს მიერ ღმერთის მემკვიდრეც“ (გალ.4.7).

ასეთი განსაცვიფრებელი სიდიადის თანაზიარია ადამიანი;

ასეთი დიადია თითოეული თქვენგანი!

და თუ თქვენ ცხოვრობთ ქრისტიანულად სადიდებლად ღვთისა და მსახურებად მოყვასისა, არა აქვს მნიშვნელობა, მეცნიერი ხარ, პოლიტიკოსი, ექიმი, მშენებელი, გლეხი, სპორტსმენი, პედაგოგი, მძღოლი, ჯარისკაცი თუ სხვა, შენი საქმიანობა ღვთისმსახურებად შეგერაცხება და ეს იქნება შენი ოქრო, გუნდრუკი და მური უფლისთვის მირთმეული და გაიხარებ ორსავ სოფელსა შინა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი“ (გალატ.6,2), – მოგვიწოდებს წმინდა წერილი.

* * *

მოდის მაცხოვარი, რათა გაგვათავისუფლოს ურწმუნოებისაგან და ჩვენს უმნიშვნელოვანეს კითხვებს გასცეს პასუხი, უბოძოს კაცობრიობას ცათა სასუფევლის ცოდნა და სამართალი, ყველაფერს დაუბრუნოს მარადიულობა და იხსნას იგი სიკვდილისა და ხრწნილებისაგან, „რადგან კეთილ ინება მამამ, რომ მასში (ქრისტეში) დამკვიდრებულიყო მთელი სავსება და მისი საშუალებით შემოერიგებინა ყოველი“ (კოლას.1,19-20)

ყველას და, პირველ რიგში, უკრაინის ომის მძიმე შედეგებით დათრგუნვილ და დაზარალებულ ბავშვებს, საერთოდ ნებისმიერ მოზარდს მინდა, მივულოცო ქრისტეშობის დიდებული ზეიმი; მივულოცო იგი ყველა ტვირთმძიმესა და მაშვრალს, რადგან ეს დღესასწაული აღმატებულია ნებისმიერ განსაცდელზე, ჰმეტობს თითოეული ჩვენგანის ტკივილს და იმედით გვავსებს.

ჩემო სულიერო შვილებო, საქართველოს მკვიდრნო და უცხოეთში მყოფნო თანამემამულენო, სულიერად წარვემართოთ გეთსემანესაკენ, რათა მწყემსებთან ერთად ვადიდოთ ყრმა იესო, მოგვებთან ერთად შევწიროთ ძღვენი, – ოქრო, გუნდრუკი და მური და ანგელოზებთან ერთად ვუგალობოთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“

ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დალოცოს საქართველო!

ინებოს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ჩვენზეც აღსრულდეს წმინდა დავით მეფის სიტყვები:

„ნეტარ არს ხალხი, ვისთვისაც ღმერთი არის უფალი, ხალხი, – მისდა სამკვიდროდ გამორჩეული“ (ფსალ. 32.12).

თქვენთვის მლოცველი,

სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქი,

თბილისი, შობა ქრისტესი 2023 წელი“.

ირაკლი ღარიბაშვილი: ქრისტეშობას გილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

„ქრისტეშობის გრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

იესო ქრისტეს შობამ მთელი კაცობრიობისათვის გარდამტეხი როლი შეასრულა და სიკეთის, მიმტევებლობის, შემწყნარებლობის, კაცთა შორის სათნოების დამკვიდრებისა და სიყვარულის ნიმუშად იქცა. ამიტომაც მიიჩნევა მაცხოვრის შობა ახალი ერის დასაწყისად და იმედისა და სიხარულის დღესასწაულად.კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს და გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობასა და კეთილდღეობას თქვენ და თქვენს ოჯახებს“.

კახა კალაძე: გილოცავთ მაცხოვრის შობის უდიდეს დღესასწაულს, ეს დღე გვაძლევს ძალას, უფრო მეტი სიყვარულით, სიკეთით, ერთმანეთის მხარდაჭერით გადავლახოთ ყველა სირთულე და გამოწვევა

„გილოცავთ მაცხოვრის შობის უდიდეს დღესასწაულს, სიყვარულის, სიკეთის, უკეთესი მომავლის რწმენის დღეს. უფალი იშვა კაცობრიობის მხსნელად, იმედად. ეს დღე გვაძლევს ძალას უფრო მეტი სიყვარულით, სიკეთით, ერთმანეთის მხარდაჭერით გადავლახოთ ყველა სირთულე და გამოწვევა. მინდა, პირველ რიგში, მშვიდობა ვუსურვო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, მშვიდობა ვუსურვო მთელ მსოფლიოს, კეთილდღეობა, დღეგრძელობა არ მოკლებოდეს არც ერთ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს. გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ყველას“!..

გიორგი კალანდია:

დღეს საქართველოში ერთი განსაკუთრებული კასტა ჩამოყალიბდა, რომელიც გელათში, ზუგდიდსა თუ ლევილში მხოლოდ დაწყებული საქმეების კეთებას, პრობლემის მოგვარებას ეგრძვის!!!

აურზაური ლევილის მამულის გამო

დღეს საქართველოში ერთი განსაკუთრებული კასტა ჩამოყალიბდა, რომელიც გელათში, ზუგდიდსა თუ ლევილში მხოლოდ დაწყებული საქმეების კეთებას, პრობლემის მოგვარებას ეგრძვის... თუმცა უშედეგოდ მეგობრებო, ძალიან უშედეგოდ, – ამის შესახებ ისტორიკოსი, ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია სოციალურ ქსელში წერს.

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას“... ასეთი სიტყვებით მიმართა თავის დროზე ავაკი წერეთელმა ქართულ საზოგადოებას... დაახლოებით საუკუნის შემდეგ იგივე კონტექსტის სიტყვები ქართული ემიგრაციის საუკეთესო წარმომადგენელს ტიერი ბერიშვილს ათქმევინეს... ეს ის კაცია, რომლის გამოჩენილმა მშობელმა, მამია ბერიშვილმა 1996 წელს ჩვენს ქვეყანას, ემიგრაციული მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის არქივი უსასყიდლოდ უსახსოვრა...

450 კილოზე მეტი საარქივო დოკუმენტის შეკვრამ სამუდამო ნავსაყუდელი საქართველოში ჰპოვა და სწორედ მამა-შვილი ბერიშვილების წყალობით საქართველომ თითქოს დაკარგული ისტორიული მეხსიერება დაიბრუნა... დღეს კი სანაცვლოდ მავანი ამ ღვაწლმოსილ ემიგრანტს გრძნობებს უწამლავს და ასეთ სიტყვებს აწერინებს: „საფრანგეთში მე შემიძლია ასეთი სიცრუისა და ცილისწამებისთვის გიჩივლოთ! ხომ არ თვლით, რომ როგორც საქართველოს მოქალაქეს, შემიძლია საქართველოშიც გიჩივლოთ?“

...დიახ ფეხის დადების თუ პოლიტიკური ანგარიშგების უინით შეპყრობილთა მადა საქართველოს დიდი ხანია გასცდა და ჩვენს ემიგრაციასაც მისწვდა... მიზანი ერთადერთია: ყველას ვისაც საქმის კეთება გვინდა, გვიყვარს ჩვენი პროფესია, მიზნის მისაღწევად ენთუზიაზმი გვიპყრობს, როგორმე გაგვაჩეროთ, სულში ჩაგვაფურთხოთ და მოტივაცია გაგვიქროთ...

აბა რატომ გეწყებათ „მუცვლის გვრემა“ და „განგაშის“ ზარების რეკვა მხოლოდ მაშინ, როცა პრობლემის მოგვარებას, ჭაობის დაშრობას, გაუკუღმართებული საქმეების გამოსწორებას პროფესიონალები იწყებენ... დიახ დღეს საქართველოში ერთი განსაკუთრებული კასტა ჩამოყალიბდა, რომელიც გელათში, ზუგდიდსა თუ ლევილში მხოლოდ დაწყებული საქმეების კეთებას, პრობლემის მოგვარებას და ენთუზიაზტების შემართებას ეგრძვის... თუმცა უშედეგოდ მეგობრებო, ძალიან უშედეგოდ, თქვენდა სამწუხაროდ არც უწყებას იცნობთ, არც მისი ხელმძღვანელის პრინციპულობას და არც საქმის მკეთებელთა შემართებას“, – წერს გიორგი კალანდია.

ლევილის მმართველი საგჯოს წევრი, ტიერი ბერიშვილი ვახტანგ და თამარ გარამაშვილების მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება.

სასაცილოა, საცინარალი რომ არ იყოს!

თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანიამ 2022 წლის დეკემბერში ტენდერის გარეშე გააფორმა ხელშეკრულება მეტროსადგურ ვარკეთილის რეკონსტრუქციისა და კაპიტალური სამუშაოების ჩასატარებლად.

მერიამ სადგურის რეაბილიტაცია დაუკვეთა კომპანია ბადა ქონსთრაქშენს, რომელიც კიდევ ერთ მეტროსადგურს, ავლაბარსაც არემონტებს.

სადგურ ვარკეთილის რეაბილიტაცია 13 398 612 ლარი ჯდება.

სამუშაოების აღწერა:

დ საზოგადოებრივ სივრცეებში ჭერის დემონტაჟი (ზედა ვესტიბიულში თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი; დახრილ გვირაბში, ქვედა ვესტიბიულსა და გამანაწილებელ დარბაზში აზბესცემენტის ფილებისაგან მოწყობილი წყალამრიდი ქოლგა);

● იატაკის ბუნებრივი გრანიტით მოპირკეთების დემონტაჟი;

● კედლებზე მარმარილოს მოპირკეთების დემონტაჟი;

● კარების, ვიტრაჟების სარევიზიო სარკმლების დემონტაჟი;

● საინჟინრო ქსელების (გათბობა-გაგრილება, ვენტილაცია, წყალ-კანალიზაცია, ელექტროსისტემები, სუსტი დენები) შეკეთება-განახლება;

● საზოგადოებრივ სივრცეებში ინტერიერის მოსაპირკეთებელი სამუშაოები: იატაკების მომზადება, დამუშავება და მოპირკეთება კერამიკული ფილით, კედლების მომზადება, დამუშავება და მოპირკეთება კერამიკული ფილით, კედლებისა და ჭერების მომზადება, დამუშავება და შეღებვა, თაბაშირ-მუყაოს სამუშაოები – კონსტრუქციების შეფუთვა;

● შეკიდული ჭერის ე.წ. ქოლგის გამოცვლა ცემენტის ფილებით;

● საზოგადოებრივ სივრცეებში ელ. გაყვანილობის მოწყობა და სანათების მონტაჟი;

● ესკალატორის ბალუსტრადების გამოცვლა;

● კარების, ვიტრაჟებისა და სალაროების სარკმლების მონტაჟი დეკორატიული ელემენტებით;

● სკამების მონტაჟი;

● ლაითბოქსების მონტაჟი.

მეტროსადგურ ვარკეთილის რემონტი 18 თვე გაგრძელდება!!!

რემონტს 13 398 612 დასჭირდებაო!!!

ჯერ არ არის ცნობილი, რეაბილიტაციის პროცესში მოუწევს თუ არა სადგურს მუშაობის შეჩერება და რამდენი ხნით. მეტროსადგურ ვარკეთილის რეაბილიტაცია თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანიამ შპს სამშენებლო კომპანია მამისონს 2022 წლის მაისში, ტენდერის საფუძველზე დაუკვეთა.

12 760 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება ნოემბერში იმ მიზეზით შეწყდა, რომ კვლავ არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილი და სამუშაოების წარმოებისთვის ვარგისი სამუშაოთა წარმოების პროექტი. მეტროსადგურ ვარკეთილის გაქანზე ჭერი 2018 წლის 30 იანვარს ჩამოინგრა. იმ დღეს იქ 14 ადამიანი დაშავდა.

მას შემდეგ გაქანს რეაბილიტაცია არ ჩატარებია. ბოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ სადგურში მოქმედი ხელისუფლების დროს შესრულდა. მაშინ თბილისის მერი დავით ნარმანია იყო.

ქონებრივ დეკლარაციებში დარღვევების გამო, 2022 წელს შემოწმებულ თანამდებობის პირთა 36 პროცენტი დაჯარიმდა – რომელი დეპუტატების დეკლარაციები შეფასდა უარყოფითად?!

დაჯარიმება რას გვიქვიან!

ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი...

2022 წლის განმავლობაში შემოწმებული 377 თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციიდან: დადებითად შეფასდა 165 დეკლარაცია, დაჯარიმდა – 136 თანამდებობის პირი, გაფრთხილება მიეცა – 45 თანამდებობის პირს, მონიტორინგი შეწყდა – 31 თანამდებობის პირის დეკლარაციაზე, რის მიზეზსაც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მათი თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შერჩევამდე გასულია ერთ წელზე მეტი ვადა და არ წარმოადგენდნენ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს. ასევე, თანამდებობის პირების გარდაცვალების ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემდგომ საზღვარგარეთ მუდმივად ყოფნის ფაქტები.

2022 წლის განმავლობაში უარყოფითად შეფასებული თანამდებობის პირების დეკლარაციების შეფასების კრიტერიუმები შემდეგნაირად გადანაწილდა – 181 უარყოფითად შეფასებული დეკლარაციიდან:

● 31%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;

● 5% შემთხვევებში არასწორად ან შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან გამორჩენილი იყო ძველი საბანკო ანგარიშები;

● 34% დეკლარაციაში არ იყო დადასტურებული სამეწარმეო საქმიანობა ან არ იყო მითითებული ძველი საწარმოები, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონიათ;

● 43% არ ჰქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დადეკლარირებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისთვის სავალდებულო ზღვარს;

● 61%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დეკლარირების გამო;

● 78% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;

● 29% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.

2022 წლის განმავლობაში დასაბუთებული განცხადების საფუძველზე შემოწმდა 61 თანამდებობის პირი (დადებითად შეფასდა 3 დეკლარაცია, დაჯარიმდა – 47 და გაფრთხილება მიეცა – 11 თანამდებობის პირს)

შემთხვევითი შერჩევის სისტემით შერჩეული თანამდებობის პირებიდან შემოწმდა 316 დეკლარაცია, საიდანაც დადებითად შეფასდა – 162, დაჯარიმდა – 89, გაფრთხილდა – 34, წარმოება შეწყდა – 31 შემთხვევაში. ამასთანავე, 2022 წლის განმავლობაში შემოწმებულ თანამდებობის პირთა შორის მონიტორინგი განხორციელდა 27 საიდუმლო თანამდებობის პირზე, საიდანაც: დადებითად შეფასდა – 16, დაჯარიმდა – 10, გაფრთხილდა – 1.

თანამდებობის პირებს შორის, რომელთა შევსებული დეკლარაციებიც უარყოფითად შეფასდა, არიან პარლამენტის მოქმედი და ყოფილი დეპუტატები, მათ შორის **გიორგი ვაშაძე, ლევან ხაგეიშვილი, ნონა მამულაშვილი, მამუკა ხაზარაძე, ანზორ გოლძვაძე, ვასილ ჩიგოგიძე, ნატო ჩხეიძე, ფრიდონ ინჯია, ლევან იოსელიანი** და ა.შ.

მრავალწლიანი კამათის შემდეგ, რადას დეპუტატებმა უკრაინაში მედია-ბაზრის ფუნქციონირების ახალი წესები დაამტკიცეს. კრიტიკოსები კი ქვეყანაში მედიის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეზე მიუთითებენ. რას გულისხმობს ახალი კანონი, DEUSTCHE WELE-მ გაარკვია.

მედიის მარეგულირებელი ახალი კანონი უკრაინაში: რა საფრთხეებს ხედავენ კრიტიკოსები?

რა ხდება?

უკრაინის ახალი კანონის — „მედიის შესახებ“ მიღებას წინ უძღოდა სამწლიანი ცხარე დისკუსია. შედეგად, 13 დეკემბერს, უმაღლესი რადას დეპუტატებმა დოკუმენტს მეორე მოსმენით დაუჭირეს მხარი. ეს მოხდა ჰუმანიტარული და საინფორმაციო პოლიტიკის საკითხების კომიტეტის თითქმის 1000-გვერდიანი შესწორებების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს. ამჯერად ინიციატივას დარბაზში მყოფმა თითქმის ყველა დეპუტატმა დაუჭირა მხარი — 331-დან 299-მა. კანონის ძალაში შესვლისთვის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ხელმოწერა დარჩა. თუმცა უკრაინის ხელისუფლების ოპოზიცია შიშობს, რომ შესაძლოა, კანონი მედიაზე ზეწოლის ინსტრუმენტად იქცეს.

ეროვნული საბჭო მედიის მუშაობის მთავარი მარეგულირებელი გახდება.

ამ სამი წლის განმავლობაში კანონპროექტის მთავარი პუნქტი იყო მედია სფეროში სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი გაძლიერება. მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ტელევიზიისა და რადიოს მაუწყებლობის ეროვნულ საბჭოს (სახელმწიფო ორგანო, რომელიც ამჟამად გასცემს ლიცენზიებს და აკონტროლებს მათი პირობების დაცვას) უფლება ექნება დაარეგულიროს თითქმის ყველა მედია პლატფორმა თუ მედია საშუალება უკრაინაში. ეროვნული საბჭოს კონტროლს თითქმის ყველა ტიპის მედია დაექვემდებარება — როგორც ბეჭდური, ასევე — ონლაინ გამოცემები, ონლაინ კინოთეატრები თუ პლატფორმები, სადაც მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტია განთავსებული. მაგალითად, ასეთია Youtube არხები, რომლებიც აქამდე სახელმწიფო რეგულაციების მიღმა იყო. ფაქტობრივად, კანონპროექტის გრძელვადიანი განხილვისას ყველაზე მწვავე კამათის საგანი იყო ონლაინ მედიის რეგულირება.

დისკუსიების შედეგად, ინიციატივის ავტორები ყველა ინტერნეტ მედიის სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის იდეას შეეშვნენ. შესაბამისად, კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში ის ნებაყოფლობითი გახდა. თავად ეროვნულმა საბჭომ მიიღო უფლება, გააუქმოს რეგისტრაცია და მნიშვნელოვანი დარღვევებისთვის მედია საშუალებების საქმიანობა შეაჩეროს. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს მფლობელების შესახებ ცრუ ინფორმაციისა და დისკრიმინაციული მასალების გავრცელებისთვის, ნარკოპროპაგანდის, უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დადებითი გაშუქებისთვის და ა.შ.

პუნქტი, რომელიც ეროვნულ საბჭოს უფლებას აძლევდა, მნიშვნელოვანი დარღვევების ბრალდებით, პროვაიდერებისთვის ონლაინ მედიაზე წვდომა დაებლოკა, კანონპროექტის პირველი მოსმენით დამტკიცების შემდეგ, ყველაზე მეტად გააკრიტიკეს. ამის შედეგად, ის შერბილდა, — ამბობს DW-სთან საუბარში რომან გოლოვენკო, მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტის მედია იურისტი. ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თითქმის 30 წელია უკრაინაში მედიის საკითხებზე მუშაობს. ამიერიდან ეროვნული საბჭო, ერთი თვის განმავლობაში მეოთხე დარეგისტრირებული უხეში დარღვევის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ონლაინ პუბლიკაციების დაბლოკვას შეძლებს, ხოლო დაურეგისტრირებელი დარღვევის შემთხვევაში — სასამართლო განაჩენის გარეშე, მაგრამ მხოლოდ მეხუთე დარღვევის შემდეგ და 14 დღის განმავლობაში.

გათვალისწინებულია თუ არა ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის შენიშვნები?

უკრაინის პარლამენტში საბოლოო კენჭისყრამ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების პროცედურა თითქმის გაიმეორა. დოკუმენტის მაშინდელი ვერსია დაახლოებით 300 გვერდისგან შედგებოდა, მაგრამ 30 აგვისტოს დეპუტატებმა მას ხმა თითქმის განხილვის გარეშე მისცეს. ცვლილებები მომდევნო ორი თვის განმავლობაში მიიღეს, შენიშვნები კი ევროსაბჭომ და ევროკომისიამაც გამოაქვეყნეს, — განუცხადა DW-ს კანონის ერთ-ერთმა ავტორმა ნიკიტა პოტურაევმა (ფრაქცია „ხალხის მსახური“). თუმცა ოპოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად მცდელობებისა, კანონპროექტში არსებული მთელი რიგი ხარვეზის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა. „კომიტეტი მეორე მოსმენისთვის წარადგენს კანონის იმ ვერსიას, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიას სერიოზულ საფრთხეს უქმნის,“ — განაცხადეს ოპოზიციონერებმა კენჭისყრამდე. „ევროპული სოლიდარობის“ წარმომადგენლებმა სხდომათა დარბაზში გამართული მცირე განხილვისას კანონპროექტი გააკრიტიკეს, მაგრამ საბოლოოდ, მხარი მაინც დაუჭირეს.

როგორც ჩანს, ოპოზიციისთვის გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა ის, რომ დოკუმენტი ე.წ. ევროინტეგრაციის პაკეტის ნაწილია. მისი მიღება ევროკომისიის ერთ-ერთი პირობაა, რომელიც უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელია. იმ მოთხოვნებს შორის, რომლებიც ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსთან ერთად წამოაყენა, არის მედიის ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან.

კანონპროექტის კრიტიკოსები ცენზურის გაძლიერების საფრთხეს ხედავენ

ამავდროულად, ახალი კანონის კრიტიკოსები ვებგვერდების სასამართლოს გარეშე დაბლოკვას ინტერნეტ ცენზურის ინსტრუმენტად მიიჩნევენ. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ ტელე და რადიო მაუწყებლობის ეროვნულ საბჭოს, რომლის უფლებამოსილებები ახალი კანონით მნიშვნელოვნად გაფართოვდა, დამოუკიდებელ მარეგულირებელს ვერ დავარქმევთ. „თუ ეს იქნება პრეზიდენტის ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ორგანო, რომელსაც შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ დაბლოკოს ვებგვერდები, მაშინ ჩვენ პოლიტიკური ზეწოლის მომსწრენი გავხდებით. ეს იქნება განსხვავებული მოსაზრებების დაბლოკვა, რაც ძალიან საშიშია ჩვენი გამარჯვების შემდგომ პერიოდში, როდესაც ეს მოხდება და აუცილებელი იქნება ახალი პარლამენტის არჩევა. ჩვენ ძალიან ვღელავთ და „განგაშის ზარებს შემოვკარით“, რადგან არ გვინდა, უკრაინაში ინტერნეტი იყოს ისეთივე, როგორიც არის რუსეთში, ჩინეთში ან თურქმენეთში, სადაც თითქმის ყველაფერი დაბლოკილია,“ — ამბობს უკრაინის ინტერნეტ ასოციაციის გამგეობის წევრი, მაქსიმ ტულიევი.

მანამდე კი სამთავრობო ექსპერტებმა, რომლებმაც საპარლამენტო კომიტეტის მოთხოვნით კანონპროექტი გააანალიზეს, უკვე მიაპყრეს დეპუტატების ყურადღება იმას, რომ აუდიოვიზუალური სერვისების შესახებ ევროდირექტივის ამოქმედების მიზანი იყო, პირველ რიგში, თანამედროვე ნორმებთან შესაბამისად, ტელევიზიის რეგულირების წესების შემოღება და ეს არ ეხება ონლაინ მედიას. „პროექტი მოიცავს სამართლებრივ ურთიერთობათა ბევრად უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ეს დირექტივით არის გათვალისწინებული. ამავდროულად, ის არ გულისხმობს დირექტივის სრულ იმპლემენტაციას კომერციული რეკლამის, კერძოდ კი, პროდუქტის განთავსების თვალსაზრისით,“ — ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერს ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში ვიცე-პრემიერი ოლგა სტეფანიშინა.

ცვლილებების განხილვა ჟურნალისტების მონაწილეობის გარეშე

თავის მხრივ, უზენაესი რადას მთავარი იურიდიული დეპარტამენტი ახალ კანონში არსებულ უამრავ შეუსაბამობაზე მიუთითებს. მაგალითად, ეს ეხება ტერმინ „ონლაინ მედიის“ განმარტებას. ერთ-ერთ მუხლში კანონი მას განსაზღვრავს როგორც მედიას, რომელიც რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციას საკუთარ ვებგვერდზე. მეორე მუხლში კი ნათქვამია, რომ ეროვნულმა საბჭომ ონლაინ მედიად კლასიფიკაციის კრიტერიუმები მომავალში უნდა შეიმუშავოს.

საპარლამენტო იურისტები ასევე ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ ტელევიზიისა და რადიოს მაუწყებლობის ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების გაფართოება ეწინააღმდეგება ღიაობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მისი გავრცელების თავისუფლებისა და ცენზურის აკრძალვის პრინციპებს. სწორედ ამას შიშობენ უკრაინის ჟურნალისტთა ეროვნულ კავშირშიც, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დიდი პროფესიული ასოციაციაა.

აღნიშნულმა გაერთიანებამ დეპუტატები ჟურნალისტური საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ცვლილებების თითქოსდა არაგამჭვირვალე განხილვისთვის გააკრიტიკა. ასოციაციის წევრებმა ომის დასრულებამდე კანონპროექტის განხილვების შეჩერება და მედია ბაზრის რეგულირების პრინციპების გადახედვა მშვიდობიან პერიოდში მოითხოვეს.

„ეროვნული საბჭო ახლა არ არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი, ის არის ხელისუფლების ორგანო, რომლის ნახევარს ნიშნავს პრეზიდენტი, მეორე ნახევარს კი — დეპუტატები (მოქმედ პარლამენტში უმეტესწილად ყველას პრეზიდენტი აკონტროლებს). არ არის კვოტები ჟურნალისტებისთვის, მედია ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და მომხმარებლებისთვის,“ — ნათქვამია ჟურნალისტთა ეროვნული კავშირის განცხადებაში.

ახალი კანონის თანაავტორი ნიკიტა პოტურაევი DW-სთან საუბარში კანონპროექტის კულისებში განხილვის შესახებ ბრალდებებს უარყოფს. თავის მხრივ, ის აკრიტიკებს ოპოზიციური ფრაქციების კოლეგებს, რომელთა შესწორებებმაც შეიძლება ტექსტში შეუსაბამობები გამოიწვიოს. პოტურაევი ევროკომისიისგან კანონპროექტის შესახებ ნოემბერში მიღებული წინასწარი დასკვნების გასაჯაროებაზე უარს ამბობს.

ის იმასაც უშვებს, რომ ევროკავშირის შენიშვნები პრეზიდენტის მიერ კანონის ხელმოწერის შემდეგაც გაგრძელდება. პოტურაევმა პირობა დადო, რომ გააგრძელებს ცვლილებების შეტანას როგორც ახლად მიღებულ კანონში, ასევე — საარჩევნო კოდექსსა და „რეკლამის შესახებ“ კანონში, რათა ევროკომისიის მიერ მოთხოვნილი მარეგულირებელი ნორმები საბოლოოდ დაინერგოს.

ფართოდ გააღილეთ თვალები, აფხაზო ძმებო და დებო!



თუ ვინმე იმსახურებს გულწრფელ მადლობას აფხაზი ხალხისა და აფხაზეთის მიწა-წყლის გამორჩეული ერთგულებისა და სიყვარულის გამო, ეს ერთი ჩვეულებრივი კოლხი კაცი, პროფესიონალი ინჟინერ-მელიორატორი, აფხაზწყალმშენის ყოფილი მმართველი, 1992-93 წლების აფხაზ-ქართველთა ძმათამკვლელი ომის დროიდან მოყოლებული დღემდე – აფხაზეთის გადარჩენის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე... და რაც მთავარია, სახალხო დიპლომატიის, შენდობის, მიტევების, ქართულ-აფხაზური საუკუნოვანი ტრადიციების აღდგენის გზით აფხაზების დაბრუნების მოსურნე, დღეს უკვე 88 წლის ლორენცო შარანგიაა!

ცხოვრების ჭირ-ვარამით, წუთისოფლის მუხანათური შუქ-ჩრდილებით დამძიმებული ლორენცო შარანგია, საახალწლოდ ისე დინჯად, ღრმად, ჯავარიანი ქართულით მესაუბრა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჭკუა თავშია და არა ხანში, რომ ეს 88 წელიწადი, რომელსაც ასტროლოგები უსასრულობის სიმბოლოდაც კი თვლიან, უბრალოდ, მისთვის მხოლოდ სიმდიდრეა, რომელ სიმდიდრესაც ვერავინ წაართმევს.

ამ ღვთაებრივ სულიერ სიმდიდრეს ის საკუთარ პუბლიცისტურ ნამცვრევებში გვიზიარებს და 30 წელიწადზე მეტია ქართულ და რუსულ ენებზე აწვდის აფხაზ, რუს და ქართველ მკითხველს.

თუმცაღა, უპირველეს ყოვლისა, უბრალოების და ეერთგულების პრინციპების თანაბრად მცოდნე ღვაწლმოსილი კაცი ამას აკეთებს ჩვენი მთავრობების, პრეზიდენტების და კრემლში მოკალათებული ბარბარუსების გასაგონად!



ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ აფხაზებთან ერთად ვიპოვით გამოსავალს. ჩვენი მთავარი მიზანი ერთმანეთის ნდობის მოპოვება იქნება. საქართველოში აფხაზეთი თავისი ნებით უნდა დაბრუნდეს და, რაც მთავარია, აფხაზები საიმედო, რეალური და სასურველი მომავლის წყურვილმა უნდა მოიყვანოს ჩვენთან. ურთიერთნდობის აღდგენის გარეშე ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს.

სალომე ზურაბიშვილი: დღეს, როცა აფხაზური ენა გაქრობის საფრთხის წინაშეა, აფხაზური ენის დღე უპირველესად ჩვენთვის, აფხაზებისა და ქართველებისთვის უნდა იყოს სერიოზულად დაფიქრების დღე, რადგან აფხაზური ენის გადარჩენის გარეშე არ არსებობს აფხაზების გადარჩენა. საქართველომ, თავისი ევროინტეგრაციის გაღრმავების პარალელურად, უნდა შეძლოს აფხაზური ენის გადარჩენა. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთიდანაც ძალიან კარგად ხედავენ, რომ საქართველოს და მისი ძირძველი მიწა-წყლის აფხაზეთის რეალური ხიდი და გზა ევროპისკენაა!

სამწუხაროდ და სავალალოდ, კონკრეტული საქმე ცარიელი სიტყვების იქით არ და ვერ მიდის!

* * *

პერ კიდევ პირველი პრემიერობის დროს, ამ რვა წლის წინათ, ირაკლი ღარიბაშვილი საქვეყნოდ ამბობდა:

„ჩვენ აფხაზებთან ერთად ვიპოვით გამოსავალს. ჩვენი მთავარი მიზანი ერთმანეთის ნდობის მოპოვება იქნება. საქართველოში აფხაზეთი თავისი ნებით უნდა დაბრუნდეს და, რაც მთავარია, აფხაზები საიმედო, რეალური და სასურველი მომავლის წყურვილმა უნდა მოიყვანოს ჩვენთან. ურთიერთნდობის აღდგენის გარეშე ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს“.

დაახლოებით იგივე აზრი გამოხატა ჩვენმა გამორჩეულად გულწრფელმა და პირდაპირმა პრემიერმა ამ რამდენიმე დღის წინათაც. ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“, 10-წლიანი მმართველობის შემდეგაც, ქართველი ხალხის მთავარ ოცნებად აფხაზებისა და აფხაზეთის მშვიდობიანი გზით შემორიგება-შემომტკიცებას თვლის.

ქვეყნის პრეზიდენტი, ერთობ გამოცდილი და ევროპული ყაიდის დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი კი უფრო აკონკრეტებს ქართული მხარის სათქმელს და ერთმნიშვნელოვნად ამბობს:

„დღეს, როცა აფხაზური ენა გაქრობის საფრთხის წინაშეა, აფხაზური ენის დღე უპირველესად ჩვენთვის, აფხაზებისა და ქართველებისთვის უნდა იყოს სერიოზულად დაფიქრების დღე, რადგან აფხაზური ენის გადარჩენის გარეშე არ არსებობს აფხაზების გადარჩენა. საქართველომ, თავისი ევროინტეგრაციის გაღრმავების პარალელურად, უნდა შეძლოს აფხაზური ენის გადარჩენა. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთიდანაც ძალიან კარგად ხედავენ, რომ საქართველოს და მისი ძირძველი მიწა-წყლის აფხაზეთის რეალური ხიდი და გზა ევროპისკენაა“!

ქართულ-აფხაზური მტკიცე ოჯახის შემქმნელი ლორენცო შარანგია (მისი მეუღლე, მართლაც უჭკვიანესი და ოჯახზე თავგადაგებული ქალბატონი ლამარა ემუხბა), ოთხ ვაჟთან – მერაბ, რეზო,ლევან და შოთა შარანგიებთან ერთად დღემუდამ იმას ჩასჩიჩინებდნენ აფხაზ მეზობლებს

და დიდ სამეგობროს, რომ **ცბიერმა და გონებით განუსჯელმა რუსებმა** (თ. ტიუტჩევის შეფასებაა!) არ უნდა მოგვატყუოს, ჩვენ ძმები ვიყავით, ვართ და ვიქნებით, ჯერ ერთმანეთს შევუნდოთ და მერე გავერთიანდეთ!..

(ახლახან შარანგიების დიდმა ოჯახმა ლევანი დაკარგა. შუახნის ვაჟკაცი, გულის შეტევით, მოულოდნელად გარდაიცვალა... ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს!)

...თვით აფხაზეთის ომში დაღუპული, აფხაზეთის და ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკების“ მხარეს მებრძოლი ახალგაზრდობის (ძირითადად – ახალგაზრდობის!) სიას რომ გადახედოთ, უმალ დარწმუნდებით, რომ გარდაცვლილთა თითქმის 80 პროცენტი ქართული ფესვებითაა!

ამიტომ არის ეს გარეშე ძალისგან, „გათიშე და იბატონეს“ პრინციპზე აგებული ძმათამკვლელი ომი ორი უძველესი ერის – აფხაზთა და ქართველთა საერთო სირცხვილი, დაცემა და გადაგვარება!

დაცემული ძმები რაც უფრო მალე წამოვდგებით ფეხზე, შევრიგდებით და ახალ სიცოცხლეს დავიწყებთ, მით უკეთესი! ეს იქნება „სიკვდილშიაც არდანებება“, მტრის (მტრების!) გულზე მიმჯენილი ლახვარი და ქართულ-აფხაზური მიწა-წყლის აღორძინებისკენ გადადგმული მთავარი ნაბიჯი!

„ო, აფხაზეთო, გევრი კარგი მოყმის გამზრდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჯრილი, უსაქართველოდ!“ არ დაგავიწყდეთ ეს, აფხაზებო!

სწორად შეაფასეთ რუსეთში შექმნილი ვითარება და ფართოდ გააღილეთ თვალები, აფხაზო ძმებო და დებო!

სპარტაკ ქობულია



ახლა კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ბატონ ლორენცო შარანგიას:

ეს ნამცვრევი მისი ახალი ნაფიქრ-ნააზრევია.

ხვალ, 10 იანვარს ლორენცო შარანგიას დაბადების დღეა! მხნედ, ბერმუხავ!

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲭᲐᲛᲘ ᲥᲕᲐᲗᲐ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ?!.

...ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲒᲚᲘᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲐᲓ ᲛᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ. ᲘᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲓᲔᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚ ᲣᲔᲜᲘᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲣᲔᲜᲘᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲐᲨᲘ ᲔᲕᲐᲙᲣᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ – ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲘ. ᲘᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ, ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲛᲔᲒᲝᲛᲠᲝᲑᲐᲪ ᲒᲕᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ, ᲝᲛᲐᲛᲓᲔ 2-3 ᲬᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲝᲠᲘᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲒᲠᲐᲨᲘ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲖᲘᲤᲘᲡ ᲤᲐᲪᲮᲐᲨᲘ ᲕᲕᲐᲮᲨᲛᲝᲒᲓᲘᲗ. ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲒᲐᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ – ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐᲡ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐᲪ ᲐᲚᲔᲚᲕᲔᲒᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲒᲘ, ᲒᲔᲓᲘ: ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲘᲗ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲐᲖᲠᲔᲒᲡ ᲕᲣᲖᲘᲐᲠᲔᲒᲓᲘᲗ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲘᲕᲧᲠᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲒᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲛᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲒᲐᲛ – ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲤᲗᲐ, ᲙᲐᲛᲙᲐᲛᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲖᲘᲤᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲦᲕᲐᲠᲝᲡ... ᲐᲓᲠᲔ ᲗᲣ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲪ. ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ, ᲓᲐᲣᲜᲔᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲫᲛᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗ ᲮᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲤᲐᲠᲗᲝ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲒᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ „ᲡᲣᲚ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ“ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲗ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ...

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ – ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ?!

* * *

...ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲔᲖᲝᲒᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ – ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ (ᲖᲦᲕᲘᲗ), ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲐᲜ ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲨᲔᲣᲥᲪᲔᲕᲐᲓᲘ – ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲣᲡᲢᲓᲔᲒᲐ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲒᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ, ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ... ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲒᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲝᲓᲘᲗᲒᲐᲜᲕᲔ, ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ – ᲤᲚᲝᲒᲓᲔᲡ, ᲨᲔᲛᲝᲘᲔᲠᲗᲝᲡ, ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲡ ᲓᲐ Ა.Შ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲓᲦᲐᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲒᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲕᲐᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲓᲔᲒᲐ. ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲨᲔᲡᲣᲡᲢᲓᲔᲒᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲪ.

ᲠᲣᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲓᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲐᲓ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ, ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲒᲐ ᲫᲕᲔᲚᲔᲒᲣᲠᲐᲓ ᲣᲙᲣᲠᲜᲔᲒᲚᲐᲓ (ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲒᲘᲗ!) ᲐᲕᲐᲓᲝᲒᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲔᲜᲘᲗ – ᲤᲚᲝᲒᲓᲔᲡ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲜᲔᲒᲡ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲒᲘᲡᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲜᲘᲦᲒᲘᲗ ᲘᲕᲧᲠᲝᲒᲓᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲡ.

ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲐᲓᲚᲔᲘᲑᲐ

ᲔᲡ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡ. ᲛᲘᲡᲘ „ᲘᲐᲠᲐᲦᲘ“ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ – ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲡᲕᲔᲑᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ, ᲦᲠᲛᲐᲓ... ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲮᲚᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ...

ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲥᲪᲔᲡ...

ᲣᲛᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲗᲘ ᲒᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ: ᲨᲔᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ, ᲐᲜᲩᲐᲒᲐᲫᲔ, ᲔᲛᲣᲮᲕᲐᲠᲘ, ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ, ᲘᲜᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲒᲡᲜᲐᲫᲔ, ᲚᲐᲪᲣᲨᲑᲐᲘᲐ, ᲒᲣᲗᲒᲐᲘᲐ, ᲐᲠᲫᲘᲜᲑᲐᲘᲐ, ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐ, ᲐᲥᲘᲨᲑᲐᲘᲐ ᲓᲐ Ა.Შ.

ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲗᲜᲝᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘ ᲛᲡᲣᲒᲣᲤᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲤᲐᲥᲘᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲨᲘ, ᲖᲜᲔ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲪ ᲘᲥᲪᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ-ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲗᲣ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲡ ᲩᲐᲕᲣᲦᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲛᲓᲔ ᲨᲔᲫᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲦᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲰᲫᲕᲘᲐ, ᲓᲒᲐᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲮᲣᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲫᲕᲔ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲗᲐ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ: ᲡᲘᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ (ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘᲡ) ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲝᲜᲔ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ!!!

ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝ ᲨᲐᲠᲐᲜᲒᲘᲐᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲯᲔᲠ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲝᲠᲝᲕᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲜᲒᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲝᲠᲝᲜᲒᲑᲐ: ᲯᲔᲠ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐ ᲐᲜ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲑᲐ. ᲔᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗ, ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲗ, ᲐᲜᲣ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲗ, ᲖᲜᲔ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲚᲐᲮᲐᲕᲘ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲐ.

ᲒᲝᲠᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲢᲝᲚᲛᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘᲐ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲦᲝᲛᲘ ᲐᲜ ᲚᲝᲑᲘᲝ ᲐᲯᲘᲙᲘᲗ ᲡᲐᲓ ᲛᲝᲕᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡ. ᲛᲘᲡᲘ „ᲘᲐᲠᲐᲦᲘ“ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲗᲝᲜᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ – ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲡᲕᲔᲑᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ, ᲦᲠᲛᲐᲓ... ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲮᲚᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠ...

ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲥᲪᲔᲡ...

ᲣᲛᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲚᲐᲭᲑᲐ.

ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝ ᲨᲐᲠᲐᲜᲒᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲚᲐᲭᲑᲐ.

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲒᲘᲯᲝᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲕᲘᲮᲔᲓᲝᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲙᲐᲜ!

ᲬᲧᲔᲜᲐ, ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲒᲐ, ᲞᲐᲢᲘᲔᲒᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲘᲝᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲬᲘᲠᲝᲗ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲠᲚᲐᲓ.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲢᲔᲕᲔᲒᲐ, ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲜᲓᲝᲒᲐ, ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲔᲜᲡ!

ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

* * *

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲬᲕᲘᲐ. ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲕᲞᲐᲢᲘᲟᲣᲗ.

ᲛᲘᲛᲢᲐᲜᲡ ᲨᲔᲕᲐᲢᲧᲝᲛᲘᲜᲔ, ᲠᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ. ᲛᲐᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲓᲐ, ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲙᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲪᲘᲚᲔᲒᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ. ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲒᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲓᲐ

ბიბილოვს ავტომანქანაზე სანომრე ნიშნის Z მოხსნა მოსთხოვეს

ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის ე.წ. ავტოინსპექციის თანამშრომლებმა გააჩერეს ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის ავტომანქანა „ლექსუსი“, რომლის სანომრე ნიშანია უკრაინაში რუსეთის „სპეცოპერაციის“ სიმბოლო Z.

„რადიო თავისუფლების“ პროექტ „ეხო კავკაზას“ ცნობით, ბიბილოვის მხარდამჭერი ინტერნეტ-რესურსები წერენ, რომ ე.წ. ავტოინსპექციის თანამშრომლები „იძულებული იყვნენ“ შეესრულებინათ მოქმედი „პრეზიდენტის“ ალან გაგლოევის მრძანება და „ექსპრეზიდენტ“ ანატოლი ბიბილოვს მოსთხოვეს ამ სანომრე ნიშნის მოხსნა.

ამავე წყაროების ინფორმაციით, „ბიბილოვმა მკაფიოდ გააგებინა, რომ არავის მისცემს მისი ავტომობილიდან ნეოფაშიზმთან მრძოლის სიმბოლოს ჩამოხსნის უფლებას“ და „შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ მის პრინციპულ პოზიციას“. ზოგიერთმა ოსურმა და რუსულმა ტელეგრამ-არხმა მომხდარში „რუსოფობიის“ ნიშნებიც დაინახა.

დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრმა ვალერი გაზაევმა ადგილობრივ მედიას განუცხადა, რომ ავტომანქანა რამდენიმე დღის განმავლობაში მოძრაობდა დაუდგენელი სახეობის სარეგისტრაციო ნიშნებით, მაშინ, როცა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით, ავტომანქანის ნომერი შესაბამისი წესით დარეგისტრირებული უნდა იყოს. ამასთან, გაზაევმა თქვა, რომ “დარღვევის მიუხედავად, ბიბილოვს ისევ მისცეს Z-იანი ავტომანქანით გადაადგილების უფლება, რადგან ის სპეციალური სუბიექტია და გარკვეული იმუნიტეტი აქვს“.

„სამხრეთ ოსეთის მთელი ხალხი პირველივე დღეებიდან სრულად უჭეს მხარს რუსეთის სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“, – დასძინა გაზაევმა.

თალიბანების პირველი საერთაშორისო კონტრაქტი



ჩინეთმა ავღანეთის მმართველ თალიბანთან ნავთობის მოპოვების თაობაზე კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების მიხედვით, ჩინური ნავთობისა და გაზის კომპანია ცენტრალური აზიის ერთ-ერთი უმთავრესი მდინარის, ამუდარიის აუზიდან ნავთობის მოპოვებას დაიწყებს.

საუბარია 4 500 კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე ტერიტორიაზე. ეს ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის მოსვლის შემდეგ ქვეყანასთან გაფორმებული პირველი საერთაშორისო კონტრაქტია. აღსანიშნავია, რომ თალიბანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აშშ-მ ავღანეთს სანქციები დაუწესა, რომლის ფარგლებში საერთაშორისო აქტივები დაუყადაღა და ჰუმანიტარული დახმარება შეუწყვიტა, რის გამოც ქვეყანა შიმშილის ზღვარზეა.

ოკუპანტები გაეროს მისიას დაესხნენ თავს

რუსი ოკუპანტები ზაპოროჟიეს ოლქში გაეროს მისიას დაესხნენ თავს, – ამის შესახებ ზაპოროჟიეს ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე სტარუხმა განაცხადა.

„აგრესორი ქვეყანა, რომელმაც პირობა დადო, რომ სროლისგან თავს შეიკავებდა, თავს დაესხა გაეროს ჰუმანიტარულ მისიას, რომელმაც ჰუმანიტარული დახმარება ქალაქ ორიხივში ჩაიტანა“, – აცხადებს ალექსანდრე სტარუხი. უკრაინული მედიის ინფორმაციით, 7 იანვარს, საღამოს, რუსულმა ძალებმა ქალაქ ზაპოროჟიეს გარეუბნებში სარაკეტო იერიში განახორციელეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა თავდაცვის მინისტრს, სერგეი შოიგუს შობის პერიოდში ცეცხლის შეწყვეტა უბრძანა.

ირანში სიკვდილით კიდევ ორი ადამიანი დასაჯეს

ირანის ხელისუფლებამ სიკვდილით კიდევ ორი ახალგაზრდა დასაჯა, რომელთაც მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებული მასობრივი საპროტესტო აქციების დროს რევოლუციურ გუშაგთა კორპუსთან აფილირებული გასიჯის მოხალისეთა წევრების მკვლელობა ედებათ ბრალად.

მსჯავრდებულები მოჰამად ქარამი და მოჰამად ჰოსეინი არიან. ადგილობრივმა მედიამ სასამართლოში მათი სიტყვით გამოსვლის დამონტაჟებული კადრები გაავრცელა. როგორც „ფრანს-24“ აღნიშნავს, ბრალდებულებს უფლება არ ჰქონდათ, აეყვანათ საკუთარი ადვოკატი და გაცნობოდნენ მათ წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებს.

ქარამისა და ჰოსეინის სიკვდილით დასჯით, ოთხამდე გაიზარდა მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში დაწყებული მასობრივ საპროტესტო აქციებთან კავშირში მყოფი გასამართლებული და სიკვდილმისჯილი პირების რიცხვი. საერთო ჯამში კი, აქციების შედეგად 517 ადამიანი დაიღუპა და თითქმის 20 ათასამდე დააკავეს.

ინტერნეტ-მოამბე

„...გადასწონიდა მთელ ირანს, თურმე...“

რაც გინდა თქვით და იმდენს „ვატრიალებთ თავს აქეთ-იქეთ, ოღონდ უცხოეთიდან და უცხოელებისგან რამე გადმოვიღოთ და ჩვენს ნიადაგზე როგორმე გავახაროთ“, რომ საკუთარი აღარ გვახსოვს ხეირიანად, მით უმეტეს ფესვები.

ამის დასტურად, ჩვენი სასიქადულო მეცნიერ-ირანისტის პოეტის, ნომადი ბართაიას 02.XI.2022 წლით დათარიღებული ერთი ფეისბუკ-პოსტი გვინდა შემოგთავაზოთ.

„ირანში სასამართლოზე ბრალდებული თუ ერთ ფერეიდნელს მოიყვანდა მოწმედ თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, დავა მოგებული ჰქონდა თურმე“.

ეს რა ყოფილხარ, ქართველო კაცო, რატომ აქამდე არ ვიცოდი? თურმე მეგონა, გიცნობდი შენ და, აქამდე თურმე არ გიცნობდი!

აი, კაცობ ბაც ასეთი უნდა, თავი სიზმარში ახლა მგონია, ეს რა სიმდიდრე მოგვიხვეჭია, ეს რა სახელი თურმე გვქონია!

„რით გაგახაროთ მკითხველო ჩემო,
რა უნდა გითხრათ ამაზე მეტი?
გადასწონიდა მთელ ირანს, თურმე
სასამართლოზე ქართველი ერთი“.



წმინდანის შეგონებანი

საკმაო იშვიათობაა, როცა წმინდანის შეგონებანი ადამიანის არა სულიერ სამყაროსა და ზნეობის საკითხებს, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ გარემოებებს ეხება. სწორედ ასეთია მართლმადიდებელი წმინდანის სერაფიმე საროველის რამდენიმე რჩევა.

წყალი დალიე იქ, სადაც ცხენი სვამს – ის ცუდ წყალს არასდროს დალევს;

ლოგინი დააგე იქ, სადაც კატა წვება;

მიირთვი ის ხილი, რომელსაც ჭია შეეხო;

თამამად მოკრიფე ის სოკო, რომელსაც ქინქლი ესევა;

ხე დარგე იქ, სადაც თხუნელა თხრის მიწას;

სახლი იქ ააშენე, სადაც გველი მზეს ეფიცხება;

ჭა იქ გათხარე, სადაც სიცხეში ჩიტები მუდობენ;

გაიღვიძე და დაიძინე ქათმებთან ერთად, მაშინ დღის ოქროს მარცვალი გექნება;

მიირთვი მეტი მწვანე ფერის საკვები – მაშინ ძლიერი ფეხები და ნადირივით გამძლე გული გექნება;

მეტი იცურავე – მაშინ ხმელეთზე თავს ისე იგრძნობ, როგორც თევზი წყალში;

უფრო მეტი იყურე ზეცაში და არა ფეხებქვეშ და მაშინ შენს სულში დაისადგურებს სიჩუმე, სული კი წყნარი და მშვიდი გექნება.

„უბუნტუ!“

აფრიკაში ექსპედიციის დროს, ერთმა ევროპელმა ანთროპოლოგმა, ზულუს ტომის მავშვებს თითქოსდა თავშესაქცევი რამ შესთავაზა: მან კალათში იქაური ნუგბარი ჩაალაგა, ხეზე ჩამოკიდა და პატარებს უთხრა: „აქედან იქამდე ვინც პირველი მიირბენს, კალათი შიგთავსიანად მისი იქნება“.

მაგრამ, როცა მკვლევარმა სტარტის ნიშანი მისცა, გაოცებული დარჩა: იმის მაგივრად, რომ მავშვები რაც ძალა და ღონე ჰქონდათ იმ ხისკენ გაქცეულიყვნენ, სადაც საუკეთესო პრიზი ეკიდა, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს, აუჩქარებლად მივიდნენ მიზნამდე და ნუგბარიც ტოლად გაიყვეს.

როცა განცვიფრებულმა მეცნიერმა მათ ამ საქციელის მიზეზი ჰკითხა, თან დასძინა, რომ ნებისმიერს შეეძლო მთელი კალათა თავად დაესაკუთრებინა, თუკი პირველი მიირბენდა ხესთან, მავშვებმა მას საყვედურით უპასუხეს: „უბუნტუ!“ ანუ, განა შეიძლება მედნიერი იყო, როცა სხვები უბედურები არიან?

ზულუს შემეცნებაში „უბუნტუ“ ნიშნავს – **„მე ვარ, რადგანაც ვართ ჩვენ“.**



აქედან ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ზულუს ტომის ხალხმა იცის მედნიერების საიდუმლო, რომელიც უკლებლივ ყველა საზოგადოებაში დიდი ხნის დაკარგულია, რომლებიც მათ ტექნოლოგიური და როგორც თავად მათი წარმომადგენლები თვლიან, დემოკრატიული და ზნეობრივი განვითარების დონით სჯობიან.

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

თენგიზ ცერცვაძეს ავადმყოფებთან არ უშვებენ!

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორის თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, საავადმყოფოს თანამშრომლებს საშვი გაუუქმეს, რის გამოც კლინიკის ტერიტორიაზე მანქანით უფასოდ შესვლას ველარ შეძლებენ, – ამის შესახებ თავად ცერცვაძემ სოციალურ მედიაში პოსტი გამოაქვეყნა და აღშფოთება ვერ დამალა.

„გინდ დაიჯერეთ გინდ არა, მაგრამ ამასაც მოვესწარი, რომ ჩემს სამსახურში, ავადმყოფებთან მისასვლელად ხარკი უნდა გადავუხადო პაატა კურტანიძეს. იგივეს გაკეთება უწევთ ჩვენი ცენტრის სხვა თანამშრომლებსაც. საახალწლო ხუმრობა არ გეგონოთ, ნამდვილად ასეა. პარკინგის უფასო საშვები გაგვიუქმეს. საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, მაგრამ მაინც არ მეგონა თუ გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ამას იკადრებდა“, – წერს ინფექციონისტი.

სამწუხაროა, რომ დღითიდღე მედიცინა უფრო და უფრო ემონება საბაზრო ეკონომიკის დაუნდობელ კანონებს და ჰიპოკრატეს ფიცი თანდათანობით დავიწყებას მიეცა...

ზურა შევარდნაძე მებაღის როლში

ჩვენი ქვეყნის მთავარი მებაღე, ნიჭიერი და საოცარი იუმორის მქონე პიროვნება, ზურაბ შევარდნაძე ინდოეთში გადაღებებზე იმყოფება.

„გარდენიას“ დამაარსებელი ფილმ „მაჰარაჯას მებაღის“, მთავარ საცდელ გადაღებებში იღებს მონაწილეობას. ფილმს ბრიტანელები იღებენ და ზურას დიდი შანსი აქვს, რომ მთავარ როლზე დაამტკიცონ.

„საცდელი, შესარჩევი გადაღებები დაიწყო და ყველაფერი უსაშველოდ საინტერესოა, მაგრამ რთული. მაგალითად, ხვალ მაჰარაჯას დიდი ნადიმი აქვს, მე ყვავილებით და გირლანდებით უნდა მოვრთო სასახლე და ეზო. დღეს ბაზარში ვიყავი გადამღებ ჯგუფთან ერთად... სანამ „გარდენიაში“ ზამთრის არდადეგებია, დაკეტილია ხომ არ მოვცდები... ღმერთო შემაძლებინე“, – წერს ზურაბ შევარდნაძე სოციალურ ქსელში.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენებური კაცის შესაძლებლობებს, ძნელად წარმოსადგენია, მას ვინმემ კონკურენცია გაუწიოს მებაღის როლზე. ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ საოცრებებს ქმნის ეს უბრალო და მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ახალ ასპარეზზე „ბაჯაღლო გურულს“ ზურა შევარდნაძეს.

ლევან თუთბერიძის ფილმი მექსიკაში დააჯილდოვეს

ქართველი კინორეჟისორი და სცენარისტი ლევან თუთბერიძის ფილმი მექსიკაში, ვერაკრუსის მსოფლიო ფილმების ფესტივალზე დააჯილდოვეს. მისმა ახალმა ნამუშევარიმა — „სამურაი დასვენების ჟამს“ — საუკეთესო მხატვრობისთვის პრიზი მიიღო.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფილმის მაღალმხატვრული ღირებულება აღინიშნა ჟიურის მიერ და ასევე, ფილმს გადაეცა ჯილდო საუკეთესო მხატვრობისთვის (თემურ ხმალაძე, ანა კალატოზიშვილი).

„სამურაი დასვენების ჟამს“ შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის და პირველი არხის მხარდაჭერით.

მოამზადა
რუსუდან ქოჯულიამ

ვაჟა-ფშაველა იაპონურად:

მანგად მოთხრობილი „სტუმარ-მასპინძელი“

„ეს წიგნი არის მანგას, გრაფიკული რომანის და წიგნის ილუსტრაციის თავისებური ნაზავი“ – ასე აღწერს „სტუმარ-მასპინძლის“ ილუსტრაციების ავტორი, მხატვარი თინა ცხადაძე-რატიანი, ვაჟა ფშაველას მანგას სახით გამოცემულ პოემას, რომელიც იაპონურად ენათმეცნიერმა იასუჰირო კოჯიმამ თარგმნა.

ვაჟა ფშაველას გმირებთან და ზოგადად, მის სამყაროსთან მიახლოება, შემდეგ კი ამ სამყაროს მანგაში დახატვა მარტივი ამოცანა რომ არ იქნებოდა, ეს თინა ცხადაძემ თავიდანვე იცოდა. როცა საქმეს შეუდგა და „სტუმარ-მასპინძელიც“ ხელახლა გადაიკითხა, მიხვდა, რამდენი რამ გასხლტომოდა ხელიდან თავის დროზე, პოემის წაკითხვისას:

„მუშაობა რომ დავიწყე, ჯერ შინაგანი დიალოგი მქონდა ვაჟას გმირებთან და თავად ავტორთანაც. ჯოყოლას ვეკითხებოდი, მოეწონებოდა თუ არა ასეთი თავისი თავი... ზვიადაურსაც. მთლიანად ვიყავი მოცული ვაჟას სამყაროთი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მიახლოებას. თან ძალიან ფრთხილად მივიკვლევდი გზას ვაჟა ფშაველას და მისი ჯადოსნური სამყაროსაკენ, მის მიმართ ჩემი ფაქიზი დამოკიდებულების გამო“.

თავიდან სცენარის კეთება დაიწყო იმისთვის, რომ დასახატად მთავარი და ნაკლებად მთავარი მომენტები ამოერჩია და მაშინ აღმოაჩინა, რომ არაფერი ამ ტექსტში არ იყო უმნიშვნელო, ქვის ჩამოგორების ხმაც კი.

მანგა, როგორც წესი, მთლიანად დიალოგებზეა აგებული, ვაჟასთან კი დიალოგს თხრობა ცვლის, გარემოს აღწერა, პაუზები – ამიტომ ასე ადვილად ის ვერ იქცეოდა ტრადიციულ კომიქსად. მხატვარს არც ის უნდოდა, რომ მანგას ხიბლი დაკარგულიყო – ამიტომ საბოლოოდ არც დიალოგის ე.წ. „ღრუბლები“ დაკარგა, მაგრამ წიგნს გრაფიკული რომანის ელემენტებიც დაემატა.

„რაც ნამდვილად ვიცოდი, ატმოსფერო, რომელიც აქვს ვაჟას პოემებს, აუცილებლად უნდა შემენარჩუნებინა“.

„სტუმარ-მასპინძლის“ მანგას შავ-თეთრ ილუსტრაციებს მინიმალისტურად ერევა ორი ფერი: ჯოყოლას გამჭოლი ცისფერი თვალი და დასასრულს, კაშკაშა წითელი პირიმზე, რომელიც უფსკრულს გადაჰყურებს - მხატვრისთვის ის აღაზას მეტაფორაა.

„თავიდანვე, ჩემს წარმოსახვაში ჯოყოლა ალხასტაიძე ლურჯთვალა იყო. ლურჯი მარადისობის ფერია. თანდათან იმასაც მივხვდი, რომ ჯოყოლა ამ ფერივით გამჭოლი პერსონაჟია, გადამწყვეტი ტიპაჟი, რომელიც მთელ იმ სისასტიკეს, ტრადიციას, დრამატიზმს გადაჭრის და უფრო მაღლა დგება, უსასრულობაში მიდის. ამიტომ ამ ფერს აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც. მეორე ნახატშიც, სადაც აღაზაზე აქვს ხელი მოხვეული, საგანგებოდ ერთი თვალი დავუტოვე. ერთი გამჭოლი თვალი. ეს მართალი თვალია... წითელი ყვავილი კი ჩემთვის აღაზას პორტრეტია. მისი მეტაფორა. და რასაც ბოლოს ეს ქალი აკეთებს, ეს თავისი მეუღლის ჰუმანიზმის და თავგანწირვის თანასწორი საქციელია“.

თინა ცხადაძის ილუსტრაციებში ვერც წაქცეულ ზვიადაურს ნახავთ. ამბობს, ვერაფრით ასეთი ზვიადაური ვერ დავხატეო:

„ამიტომ ვარჩიე, ეს სცენა დამეხატა ისე, რომ მისი სულიერი მდგომარეობა უფრო გამომეჩინა, მისი სულიერი სიმტკიცე“.

„სტუმარ-მასპინძლის“ მანგის გაკეთების იდეა ისტორიკოს მანანა ნიქაბაძეს ეკუთვნის. წიგნის გრაფიკული დიზაინერი ეთო გაბაშვილია, ქართული ვერსიის რედაქტორი კი – საბა ცაბაძე. წიგნი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და ის მალე წიგნის მაღაზიებშიც გამოჩნდება. თინა ცხადაძის ილუსტრაციების ნახვა კი დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 15 იანვრამდეა შესაძლებელი.

„სტუმარ მასპინძლის“ მთარგმნელი, იასუჰირო კოჯიმა კი გვიყვება, რომ ვაჟას სამყარო, საქართველოს მთიანეთი, მისი ესთეტიკა, ტრადიციები, იაპონელი მკითხველისთვის სრულიად უცხო, წარმოუდგენლად შორეული სამყაროა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „სტუმარ-მასპინძლის“ გმირების ქცევაში მაინც აღმოჩნდა იაპონელებისთვის გასაგები რამდენიმე დეტალი – მაგალითად, მტრის მიმართ პატივისცემა, მტრის ღირსების დაფასება – მსგავსი რამ არც ძველი იაპონელი მებრძოლების ფილოსოფიისთვის იყო უცხო.

რადგან ამჯერად ვაჟა ფშაველას ეს პოემა და მისი იაპონური თარგმანი (ორიგინალ ტექსტთან ერთად) მანგას ფორმით გამოიცა, იასუჰირო კოჯიმას ვკითხეთ, იაპონურ კლასიკურ ლიტერატურასაც თუ გამოსცემენ ხოლმე მანგებად. გვითხრა, რომ ეს იაპონიაში საკმაოდ ხშირი პრაქტიკაა და გაიხსენა, რომ როცა თავადაც პატარა იყო, ასეთი მანგებით არაერთ იაპონურ კლასიკურ ნაწარმოებს გაეცნო.

იასუჰირო კოჯიმამ ქართული ენის შესახებ წლების წინ, იაპონიაში, უნივერსიტეტში სწავლისას შეიტყო და მომავალმა ლინგვისტმა ქართული ენის სწავლა დაიწყო. ეს დაახლოებით 20 წლის წინ იყო. პირველად ნოდარ დუბაძის მოთხრობები თარგმნა. 2018 წელს კი იაპონურად ვაჟა ფშაველას მოთხრობების და პოემების კრებული გამოსცა.

იმ წიგნში, რომლის ილუსტრაციები იაპონელ მხატვარს ტაკეჰიდე ჰარადას ეკუთვნის, შესულია „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“ „გველისმჭამელი“ და ვაჟას რამდენიმე მოთხრობა.

იასუჰირო კოჯიმა ქართველი მწერლების თარგმნას დღესაც აგრძელებს. თითქმის დასრულებული აქვს და მალე იაპონურად გამოიცემა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

ეკა ქევანიშვილი,
„რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ჟურნალისტი.

აი, როგორ წარმოიდგინა იაპონელმა მხატვარმა „სტუმარ-მასპინძლის“ გმირები

ეს კი ტაკეჰიდე ჰარადას მიერ დახატული „ალუდა ქეთელაურია“

ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამკალი

საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა მას არ სჭირდება, რადგან ჩვენს ძვირფას კოლეგას, მარტვილის საპატიო მოქალაქეს, ღირსების ორდენისა და ოლიმპიური მედლის კავალერს, მიხეილ კაკაბაძის პრემიის ლაურეატ ელგუჯა ბერიშვილს სპორტის სამყარო კარგად იცნობს, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, საინტერესო პუბლიკაციების, მრავალი წიგნის ავტორსა და რედაქტორს, შესანიშნავი ღონისძიებების ორგანიზატორს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა და სპორტის ჟურნალისტიკის განხრით ამავე უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ავტორიტეტული გაზეთების – „ლელოს“, „საქართველოს რესპუბლიკის“, „სარბიელისა“ და რადიო „თავისუფლების“ რედაქციებში იმუშავა. 1992 წელს გამოსცა ჟურნალი „ჩემპიონი“, 2005-2019 წლებში ორენოვან ჟურნალ „ქართულ სპორტს“ რედაქტორობდა.

არაერთი მნიშვნელოვანი სასპორტო პროექტის სულისჩამდგმელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციას ედგა სათავეში, იყო სასპორტო პრესის საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) კოორდინატორი, ევროკომისიის წევრი, ზაფხულისა და ზამთრის 8 ოლიმპიურ თამაშებზე ჟურნალისტად აკრედიტებული. 1999 წელს სარეფერენდუმო კომიტეტს ხელმძღვანელობდა, რომელმაც საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენები, გუნდები, მწვრთნელები და სპორტის მოღვაწეები გამოავლინა. მისი ორგანიზებით, იმავე წლის შემოდგომაზე თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ამ რეფერენდუმის ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

2012 წლიდან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე- პრეზიდენტია, სეოკ-ის პრეზიდენტ ლერი ხაჩელოვსა და გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან ერთად ამ ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებაში უდიდესი წვლილი შეაქვს: პირველ ევროპულ თამაშებსა და ზაფხულის ბოლო ორ ოლიმპიადაზე წარმატებით უთავკაცა საქართველოს ოლიმპიურ მისიას. მოამზადა და გამოსცა სპორტის ენციკლოპედია, ქართული სპორტის ფოტოისტორია, ქართული სპორტის ოქროს წიგნი, 33-წიგნიანი სერია და ორტომეული ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე, ოლიმპიური ორტომეული...

ნიჭიერებით გამორჩეულ პიროვნებას, მრავალმხრივ მოღვაწე ჩვენს გულისხმიერ თანამოკალმეს, რომელსაც ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდა, ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამკალი, ამიტომ ჯანის სიმრთელეს, ჭაბუკურ შემართებასა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ!

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ელგუჯა – ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ ოვალური ბურთი

ქართული ლელო TOP 14-ში

TOP 14-ის მე-15 ტურში ვანო კარკაძის „ბრივი“ მექა გიგაშვილის „ტულონს“ დაუპირისპირდა და 26:17 დაამარცხა. „ბრივის“ ერთადერთი ლელო ქართველმა ბურჯმა, გაიტანა. მან მატჩი მარქაფიდან დაიწყო და შეხვედრაში მეორე ტაიმში, 42-ე წუთზე ჩაერთო. ასევე სათადარიგო იყო „ტულონის“ მხარეს მექა გიგაშვილიც, რომელიც მოედანზე კარკაძესთან ერთად გამოჩნდა.

შეხვედრა საკმაოდ უდისციპლინო გამოდგა, ორივე გუნდის დამრტყმელები კი მეტოქეთა შეცდომებს ძალიან კარგად იყენებდნენ. „ბრივის“ ათიანმა ერვმა 7 ჯარიმა გაიტანა, „ტულონის“ ბიგარმა კი 4. მატჩის პირველი ლელო 63-ე წუთზე სალესმა გაიტანა და სხვაობა შეამცირა, 78-ე წუთზე კი ვანო კარკაძემ თავის გუნდში ერთადერთი და მატჩში ბოლო ლელო გაიტანა და საბოლოო ანგარიში - 26:17 დააფიქსირა.

„ბრივს“ 15 მატჩის შემდეგ 25 ქულა აქვს და ბოლოსწინა, მე-13 პოზიციაზე იმყოფება, გიგაშვილის „ტულონი“ კი 31 ქულით მეცხრეა.

◎ კორტზე

ალკარასი ავსტრალიის ღია გამოტოვებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი **კარლოს ალკარასი** ავსტრალიის ღია პირველობაზე ვერ ითამაშებს. ამის მიზეზი მარჯვენა ფეხის კუნთის ტრავმაა, რომელიც მან ვარჯიშის დროს მიიღო.

„სეზონის წინ საუკეთესო ფორმაში ვიყავი, მაგრამ ვარჯიშის დროს არასწორი მოძრაობა შევასრულე და კუნთი დამეჭიმა. მარჯვენა ფეხის ნახევრად მემბრანული კუნთი დამიზიანდა. ავსტრალიისთვის დიდი მონდომებით ვვარჯიშობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ თამაშს ვერ შევძლებ. იმედი მაქვს, ტურნირზე 2024 წელს გამოვალ“, – განაცხადა 19 წლის ალკარასმა, ვინც გასულ სეზონში აშშ-ის ღია პირველობა მოიგო და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა პირველი ჩოგანი გახდა.

ალკარასმა გასული სეზონის ბოლოს, მუცლის პრესის ტრავმის გამო, ATP-ს ფინალში და დევისის თასზე ვერ ითამაშა. მან ეს ტრავმა პარიზის მასტერსზე თამაშის დროს მიიღო და მის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა.

◎ აპენინებზე

მძიმე-მძიმედ

გამართლდა ყველაზე უარესი მოლოდინი – როგორც ლუჩანო სპალეტის გაწვრთნილ გუნდებს სჩვევიათ, მსოფლიოს ყატარული ჩემპიონატით გამოწვეულმა პაუზამ საჩემპიონო რიტმიდან ამოაგდო ნაპოლი და, ქულებს ვინღა ჩივის, ჯერაც სერია-ა-ს ლიდერის თამაში ისე განსხვავდება შარშანდელისგან, როგორც ცა და დედამიწა.

საგანგაშო სიგნალები თვენახევრიანი შესვენებისას გამართულ ამხანაგურ შეხვედრებში გაისმა, ხოლო მეხი ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ ინტერთან მილანის ჯუზეპე მეაცაზე გავარდა, სადაც სტუმრები უსუსურად გამოიყურებოდნენ და 0:1 დამარცხდნენ.

რაც შეეხება **ხვიჩა კვარაცხელიას**, წელის ტრავმა, მართალია, მოიშუშა, მაგრამ, ეტყობა, გარკვეული დრო კიდევ დასჭირდება ოპტიმალური კონდიციების ასაკრეფად. სხვათა შორის, მასპინძლები მისი მეურვეობისას არც უხეშობაზე ამბობდნენ უარს.

ჯერაც მოუგებლად განაგრძობს გამოსვლას კრემონეზე, რომლის დაცვაშიც შეუდარებელია **ლუკა ლოჩოშვილი**. ამჯერად მასიმილიანო ბალდის შეგირდები შინ ბოლო წეთზე 0:1 დაისაჯნენ იუვენტუსისგან, რადგანაც მანამდე ბურთი ორჯერ მოახვედრეს შჩესნის კარის ძელს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გასვლითი მატჩი სალერნიტანასთან მილანმაც მოიგო 2:1, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იტალიურ კალჩიოს ინტრიგა დაუბრუნდა და წინ სკუდეტოსთვის დიდი ბრძოლები გველის.

არანაკლებ დრამატულად ვითარდება მოვლენები საკალათბურთო აპენინებზე, სადაც ჩვენი ინტერესის მთავარ საგანს ვირტუსი წარმოადგენს.

თორნიკე შენგელიას კლუბმა ახალი წელი ევროლიგაში ფენერბახჩესთან (შინ) და ბარსელონასთან (სტუმრად) მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებებით დაიწყო, მაგრამ შუალედში საკუთარ დარბაზში მძიმე მარცხი იწვნია უახლოესი მდევრისგან – ოლიმპია მილანოსაგან, რაც სერია-ა-ში ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

აღნიშნულ პერიოდში არც ბოლონიელთა ქართველი ლეგიონერის პირადი მონაგარი გახლდათ ღირსეული, თუმცა, ვიმედოვნებთ, სერჯიო სკარიოლო მალე მიაგნებს სტაბილურობის რეცეპტს.

სამწუხაროდ, ბოლონიელთა ციებ-ცხელება შაბათსაც გაგრძელდა, ამჯერად სტუმრად ტორტონასთან შერცხვენით – 81:89. შენგელია: 4-4 ქულა, მოხსნა და შედეგიანი გადაცემა 24 წუთში.

იმავე დღეს იუვენტუსი ზედიზედ მე-8(!) მშრალად მოგებული მატჩით შინ უდინეზესთან – 1:0 ტიტულისთვის ბრძოლაში დაბრუნდა, ხოლო ინტერი მონცაში 93-ე წუთზე დამუხრუჭდა – 2:2.

სანთელი

გიორგი ღუდუშაური

88 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღვაწლმოსილი თანამშრომელი — კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველოს უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **გიორგი ღუდუშაური.**

სამწუხაროა, რომ წარსულში გვიწევს მასზე საუბარი. იგი ხუთი ათეული წელი ემსახურა აკადემიას და მის კედლებში მომუშავე თანამშრომლებს. ამით გარკვეული წვლილი შეიტანა და გახდა მონაწილე ქართული მეცნიერების განვითარების. ის იყო სანიმუშო მოქალაქე, დინჯი, გაწონასწორებული, დარბაისელი ვაჟკაცი და საუკეთესო თვისებების მქონე პიროვნება. გიორგი ღუდუშაური გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით. უაღრესად ერუდირებული, მეცნიერებათა აკადემიის ცოცხალი მემატიანე, თავს არ იშურებდა, რათა ახალგაზრდებისთვის გადაეცა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

გიორგი ღუდუშაური დაიბადა 1934 წლის 17 მარტს ყაზბეგის რაიონის სოფელ ცდოში. 1950 წელს დაამთავრა ქ. ორჯონიკიძის (ამჟამინდელი ვლადიკავკაზი) მე-19 საშუალო სკოლა, ხოლო 1954 წელს - თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა ჯერ ყაზბეგის რაიონში სხვადასხვა საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1954-1960წწ.). შემდეგ ქ. თბილისში კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს კულტურისა და ფინანსთა სამინისტროებში (1960-1973წწ.), ხოლო 1973 წლის 1 მარტიდან იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისეთ საპასუხისმგებლო და უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ერთეულს, როგორიც იყო კადრებისა და ასპირანტურის განყოფილება. მისი უშუალო მონაწილეობითა და ინიციატივით აკადემიაში მომზადდა და მიღებულ იქნა საკადრო საკითხებთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი და დადგენილება.

ხანგრძლივი დროის მანძილზე გიორგი ღუდუშაური იყო აკადემიასთან არსებული მრავალი პრობლემური კომისიის წევრი. აკადემიის სამეცნიერო კადრების მომზადების თავმჯდომარის მოადგილე, ახალგაზრდობასთან მუშაობის კომისიის სწავლული მდივანი და სხვა.

გ. ღუდუშაურმა 1985 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში თემაზე: „ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა XVII-XIX საუკუნეებში“.

იყო 24 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, ერთი მონოგრაფიისა და ერთი ბროშურის ავტორი. ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ურთიერთობის წარმოჩენასთან ერთად მისი კვლევის სფერო გახდა სხვადასხვა დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის აღწერის (1804, 1816, 1831-1832წწ.) ცნობები როგორც მოსახლეობის სულადობის, ისე ოჯახების სტრუქტურის, მათი შემადგენლობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიური აღმსარებლობის საკითხები.

გიორგი ღუდუშაური დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ (1986წ.), მისი მრავალმხრივი საქმიანობა აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ არაერთგზის ოფიციალურად იყო აღნიშნული.

დაგვტოვა ჭეშმარიტად გამორჩეულმა მამულიშვილმა გიორგი ღუდუშაურმა და გულისტკივილთან ერთად დაგვიტოვა უამრავი ლამაზი მოგონება და კაცური კაცობის სანიმუშო მაგალითები. გიორგი ღუდუშაურის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მას იცნობდა, ვისაც ცხოვრების გზაზე შეხვდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გარდაიცვალა მსახიობი ლამზირა ჩხეიძე

93 წლის ასაკში მსახიობი **ლამზირა ჩხეიძე** გარდაიცვალა. ინფორმაციას მსახიობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალური საზოგადოება ავრცელებს.

ლამზირა ჩხეიძე 1952 წლიდან იყო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი. 1953-1956 წლებში პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში პედაგოგად.

მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: რუსუდანი (ი. ვაკელის „რვალი“), სუზონი (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), ლიდა (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“), ფენია (კ. მალიარევსკის „ქარიშხლის წინ“), ქეთო (ვ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“), ივლიტე ბოსტოლანაშვილი (კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი“), ცოლი (ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“) და სხვ.

შექმნილი აქვს რამდენიმე საინტერესო სახე ქართულ კინოსა და სატელევიზიო ფილმებში, აგრეთვე ლიტერატურულ-დრამატულ რადიო გადაცემებში. ლამზირა ჩხეიძე იყო საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, დავით ჩხეიძე-თურდოსპირელის შვილი.

ქმარმა ჯერ ცოლი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, ქმარმა ჯერ ცოლი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მომხდარის შესახებ სხვა დეტალი ჯერჯერობით უცნობია. შსს-ის ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

თბილისში პოლიციელი მოკლეს

თბილისში პოლიციელი მოკლეს. მოკლულია თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამსახურის ხელმძღვანელი, ალექსანდრე შეყელაძე. შემთხვევა გუშინ გამთენიისას მოხდა. მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია ერთი პირი. არსებული ინფორმაციით, დაკავებული პირი გიორგი მღებრიშვილია, რომელიც პოლიციის ყოფილი თანამშრომელია.

საქმე ორი მუხლით აღიძრა. საქმეს იძიებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური. გარდაცვლილი და დაკავებული მეგობრები იყვნენ. მკვლელობას წინ უძღოდა შელაპარაკება და არსებული ინფორმაციით, დაკავებული ნასვამ მდგომარეობაში იყო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფო კერესელიძეს დედის

ვალია კერესელიძის

გარდაცვალების გამო.

ლიფტის ჩავარდნის შედეგად თბილისში 3 ადამიანი დაშავდა

თბილისში, ლოტკინის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ კერძო ბინაში ლიფტი ჩავარდა.

შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. დაშავებულებიდან ერთ-ერთის მდგომარეობა მძიმეა, ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაშია მოთავსებული.

რაც შეეხება ორ დაშავებულს, რომლებიც ალადაშვილის კლინიკაში იმყოფებიან, მათი მდგომარეობა სტაბილურია. ექიმის ინფორმაციით, ერთ-ერთ პაციენტს მრავლობითი მოტეხილობა აღენიშნება.

ილია ღუდუშაური: ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი უპრეცედენტოდ გაიზარდა

პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა გაზრდილი პენსია. როგორც იცით, 70 წელს ზემოთ პენსიონერებისთვის გასაცემელი გაიზარდა 65 ლარით, 70 წელს ქვევით პენსიონერებისთვის 35 ლარით, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა განაცხადა.

„ჯანდაცვის სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტი წელს უპრეცედენტოდ გაიზარდა, დაახლოებით 800 მილიონი ლარით. თუმცა, გაზრდილი თანხის ძირითადი ნაწილი სოციალური გასაცემლების სფეროზეა მიმართული. მაქსიმალურად არის გაზრდილი პენსიები, ასევე გაზრდილია შშმ პირების შემწეობა და სხვადასხვა დანამატები, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებზეა გათვლილი“, — განაცხადა ღუდუშაურმა.

ქვეყანა ვირუსული ინფექციების გავრცელების პიკში შედის!

ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის სამედიცინო დირექტორის, მაია ჩხაიძის განცხადებით, ამ დროისთვის 12-მდე ვირუსი ცირკულირებს, მათ შორის დომინანტი გახდა A და B ტიპის ვირუსი.

„კლინიკებში მომართვიანობა მაღალია. A და B გრიპის ვირუსებია ყველაზე მეტად. მოიმატა კორონავირუსის შემთხვევებმაც. ამ ჩამოთვლილის გარდა დაახლოებით 9 ტიპის რესპირატორული ვირუსი ცირკულირებს. ეს არის რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვთა ასაკის კონტიგენტისთვის, 0-დან 2 წლამდე. სწორედ ამ ასაკში მიდის შედარებით მძიმედ და საშუალო და მძიმე სიმძიმის ბრონქიოლიტების დროს ესაჭიროებათ ჰოსპიტალიზაცია“, — აღნიშნა ჩხაიძემ.

ექიმი მაკა ბულეიშვილი ამბობს, რომ ვირუსული ინფექციების მატების ტენდენცია სეზონს უკავშირდება და ამაში განსაკუთერებული არაფერია.

„7 დღის განმავლობაში უნდა ალაგდეს სიმპტომები, როდესაც არის კონკრეტული ვირუსული ინფექცია. მაგრამ, აღნიშნულ შემთხვევაში ვხედავთ, რომ გამოხატულია ხველა, მაღალი ტემპერატურა, ზოგადი, საერთო სისუსტე. ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმასთან, რომ არის სეზონი.

ყველაზე მეტი პიკური მაჩვენებლები შეიძლება უახლოეს პერიოდში იყოს. ეს არ არის რამე განსაკუთრებული, ყოველ წელიწადს ასეა. ყველაზე მეტად რეკომენდაციები ესაჭიროებათ ბავშვთა ასაკის და იმ ადამიანებს, ვისაც აქვთ ქრონიკული და ფონური სხვადასხვა დაავადებები“, — აღნიშნა ექიმმა.

— მერაბ ნიკოლაიშვილი – 85 —

მაგალითი ჭეშმარიტი მამულიშვილობისა

საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ცნობილ მშენებელს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს ბატონ მერაბ ნიკოლაიშვილს.

მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა არის მაგალითი ჭეშმარიტი მამულიშვილობისა – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო და საქართველოს საინჟინრო-აკადემიების ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

მისი მონაწილეობით და ძალისხმევით შეიქმნა მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებული მრავალი კანონი, ნორმები და წესები, რითიც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

ბატონ მერაბს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს მისი ოჯახისა და მეგობრების საბედნიეროდ.

მეგობრების სახელით –

ვაჟა ნადირაშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოლონაძე, გოგი ავსაჯანიშვილი, დავით გურგენიძე, როლანდ მიქაუტაძე

ამერიკელებსაც ჰქონიათ კარგი გემო...

ქართული სამზარეულოს საამაყო და გამორჩეული კერძი – აჭარული ხაჭაპური, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულმა გამოცემამ, The New York Times-მა რჩეულ კერძებს შორის დაასახელა. აჭარულ ხაჭაპურთან ერთად, The New York Times-ის რჩეულ კერძებს შორის მეგრულ ხაჭაპურს, ლობიოს სალათს და ქინძის სოუსს ვხვდებით.

ამერიკულმა გამოცემამ ქართული კულინარიის შედევრის რეცეპტი და მომზადების წესი საკუთარ პლატფორმაზე გამოაქვეყნა და მას მასალაც მიუძღვნა. „საქართველოში ხაჭაპურის ბევრნაირი სახეობა არსებობს, მაგრამ მათი უმეტესობა ცომის გუნდაში ყველის მოთავსებას და ყველის გალღობამდე მის გამოცხობას გულისხმობს. ხაჭაპურის ყველაზე ცნობილი ნაირსახეობა აჭარიდან, შავიზღვისპირეთიდან მოდის. ის ნავის ფორმის მქონე გახსნილი პურია, რომელსაც კვერცხის გულთან და კარაქის ნაჭერთან ერთად უნდა ამოურიოთ. ტრადიციულად, აჭარული ხაჭაპურის მომზადებისას მძაფრი გემოს მქონე იმერულ ყველსა და სულუგუნს იყენებენ, მაგრამ აშშ-ში ერთობ ძნელია მათი პოვნა – ამცნობს თავის მკითხველს The New York Times -ი.

ძეგლმა 24 საათი გაძლო

გერმანიაში ცნობილი როკ-ჯგუფის Rammstein-ის ვოკალისტის, ტილ ლინდემანის ქანდაკება მოიპარეს.

ქანდაკება მუსიკოსის 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ქალაქ როსტოკში დადგეს, სადაც ლინდემანი გაიზარდა. მისი ავტორი კი მოქანდაკე როქსი როქსია. ძეგლი ადგილზე სულ რაღაც 24 საათის განმავლობაში იდგა. როსტოკის პოლიციამ მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

„უენსდეის“ მეორე სეზონი

NETFLIX-ზე პოპულარული სერიალის, „უენსდეის“ მეორე სეზონის გადაღების შესახებ განაცხადეს. შოუს პირველმა სეზონმა, რომელიც 8 ეპიზოდისგან შედგება, სტრიმინგ-სერვისის მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა.

კერძოდ, სერიალს ადამსების ოჯახის ქალიშვილის შესახებ პლატფორმის მომხმარებლების გამოსვლიდან 28 დღის განმავლობაში 1,2 მილიარდი საათის განმავლობაში უყურებდნენ. მთავარ როლს სერიალში ჯენა ორტეგა ასრულებს.

ბაბუის ნაჭამი ტყემლის სინდრომი ბარბადოსში

გარგადოსის ხელისუფლება აპირებს, მოითხოვოს რეპარაციები ბრიტანელებისგან, რომელთა წინაპრებიც კუნძულზე კოლონიალური ეპოქის დროს მონათმფლობელები იყვნენ. პლანტატორების შთამომავალთა შორის შესაძლოა მსახიობი ბენედიქტ კამბერბეჩიც აღმოჩნდეს.

1728 წელს მსახიობის წინაპარმა გარგადოსის ჩრდილოეთ ნაწილში პლანტაცია „კლელენდი“ შეიძინა, რომელზეც 250 ფერადკანიანი მონა ცხოვრობდა. ქამბერბეჩის ოჯახი პლანტაციას 100 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობდა, ვიდრე 1833 წელს ბრიტანულ კოლონიებში მონობა გაუქმდებოდა. მაშინ ქამბერბეჩის წინაპრებმა მიიღეს კომპენსაცია, რომელიც დღეს მილიონი გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი იქნებოდა.

„ეს პროცესი ჯერ საწყის ეტაპზეა. ამ ისტორიის დიდ ნაწილს ნათელი მხოლოდ ახლა მოეფინება“, – აცხადებს გარგადოსის რეპარაციების საკითხთა ეროვნული კომისიის ხელმძღვანელის მოადგილე დევიდ კომისიონგი.

რომეო და ჯულიეტა 55 წლის შემდეგ... ჩივიან

1968 წლის ფილმის „რომეო და ჯულიეტას“ მსახიობებმა, ლეონარდ უაითინგმა და ოლივია ჰასიმ კინოკომპანია Paramount Pictures-ს სექსუალური ძალადობის, სექსუალური შევიწროებისა და თაღლითობის გამო სასამართლოში უჩივლეს. მსახიობების განცხადებით, რეჟისორმა ფრანკო ძეფირელიმ აიძულა მათ, სასიყვარულო სცენები შიშვლებს ეთამაშათ, მაშინ როდესაც წინასწარი შეთანხმებით, ამის გაკეთება არ მოუწევდათ.

72 წლის უაითინგი და 71 წლის ჰასი კინოკომპანიისგან 500 მილიონ დოლარს ითხოვენ. მათი განცხადებით, ეს თანხა შეიცავს როგორც მორალური ზიანის ანაზღაურებას, ასევე იმ შემოსავლებს, რომელიც ფილმმა ამ წლების განმავლობაში მიიღო. მსახიობების თქმით, გადასაღებ მოედანზე ძეფირელიმ მათ უთხრა, რომ თუ შიშვლად გადაღებაზე უარს იტყოდნენ, ფილმის გადაღება ჩავარდებოდა, მათ მომავალ კარიერებს კი საფრთხე დაემუქრება. აღსანიშნავია, რომ ფილმის გადაღების დროს უაითინგი 16 წლის, ჰასი კი 15 წლის იყო. Paramount-ში სარჩელთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა. ფრანკო ძეფირელი 2019 წელს გარდაიცვალა.

ძმობაც ასეთი უნდა...

დიდი ბრიტანეთის პრინცი ჰარი თავის მემუარებში ძმის, უელსის პრინც უილიამის მიერ ფიზიკურ თავდასხმას აღწერს. ამის შესახებ The Guardian-ი წერს, რომელმაც ჯერ კიდევ არგამოცემული წიგნის ეკზეპლარი მოიპოვა. ძმებს შორის კამათი ჰარის ცოლის მეგან მარკლის შესახებ საუბარს მოჰყვა. ინციდენტი ლონდონში, ჰარის სახლში 2019 წელს მოხდა. მისი თქმით, უილიამი მეგანის შესახებ ბრიტანულ ტაბლოიდებში გაჟღერებულ ნარატივს იმეორებდა და რძალს „რთული და უხეში“ უწოდა.

„საყელოში მტაცა ხელი, ყელსაბამი გამიწყვიტა და იატაკზე დამაგდო. ძაღლის ჯამზე დავეცი, რომელიც გატყდა. ნატეხები ზურგში შემერჭო. გაოცებული ვიწექი, შემდეგ ავდექი და ვუთხარი, გათრეულიყო“, – წერს ჰარი. ჰარის მემუარები, სახელწოდებით „სათადარიგო“ სამშაბათს გამოვა. სენსაციები ამით არ მთავრდება, უარესიც, მემუარების ავტორი უფრო შორს მიდის და წერს მის მიერ ჩადენილი მკვლელობების შესახებ... სასექსის ჰერცოგი თავის მემუარებში მის მიერ ჩადენილ 25 მკვლელობას აღწერს, როგორც „დაფიდან მოშორებულ ჭადრაკის ფიგურებზე“.

„ეს არ არის სტატისტიკა, რომელიც სიამაყით მავსებს, მაგრამ არც მრცხვენია... ცუდი ადამიანები განადგურდნენ, სანამ კარგ ადამიანებს მოკლავდნენ“, – წერს პრინცი ჰარი. ბრიტანელი ყოფილი მეთაურის თქმით, ავღანეთში თალიბანის მებრძოლების მკვლელობის შესახებ განცხადებით პრინცმა ჰარიმ თავისი რეპუტაცია შელახა. მისი თქმით, ამან შეიძლება ხალხში შურისძიების პროვოცირება მოახდინოს. პრინც ჰარის მემუარები 10 იანვარს ჩაეშვება გაყიდვაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7072; ევრო - 2.8464;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2105;
100 რუბლი - 3.6770; თურქული ლირა - 0.1443;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5953;
1000 სომხური დრამი - 6.8497

ამინდი 9 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6,	დღე	+3
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+1
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+4
თბილისი:	ღამე	-2,	დღე	+2

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge